საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 19 თებერვალი. 2020 წ. №30 (8956) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბოროტი თესლი კვლავ ღვივის

ოცდასამი საუკუნის წინანდელი ბოროტი თესლი რატომ ღვივის დღესაც? რატომ ვაცხადებთ სტრატეგიულ პარტნიორს („მძლეს“)

ქართველთათვის ისტორია არ არის ცხოვრების მასწავლებელი!

ღვთის ნების გამოხატულებად? სანამდე უნდა ვიოცნებოთ ცის გახსნაზე, რომ ჩვენს გასაკეთებელს „მძლენი“ გააკეთებენ? მსგავსი რამ ცისქვეშეთში არსად არასდროს მომხდარა...

4

თბილისის ბიუჯეტი 217 მილიონი ლარით გაიზარდა

31 მომხრე არც ერთი წინააღმდეგი – თბილისის საკრებულოს სხდომაზე დედაქალაქის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები გუშინ დაამტკიცეს. თბილისის ბიუჯეტი 217 მილიონი ლარით გაიზარდა და ჯამში მილიარდ 239 მილიონი ლარით განისაზღვრა.

საკრებულოს უმრავლესობის წევრების თქმით, ბიუჯეტის დიდი ნაწილი ძველი, ყვითელი ავტობუსების ჩანაცვლებას და ავტოპარკის განახლებას მოხმარდება. ამასთან, აღინიშნა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებს ხელფასები ეზრდებათ. საკრებულოს სხდომაზე მმართველი გუნდის წევრები თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას დაკავების ფაქტსაც გამოეხმაურნენ და ოპოზიციას მოუწოდეს, „უგულავას მიერ გაფლანგული თანხების დაბრუნებაზე იფიქრონ“...

ირაკლი შოთაძის „მეორედ მოსვლა“

საკანონმდებლო ორგანომ გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ირაკლი შოთაძე გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა. რეგისტრაცია 89 დეპუტატმა გაიარა. ირაკლი შოთაძეს 82-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, შვიდმა დეპუტატმა თავი შეიკავა. კენჭისყრა ფარული წესით ჩატარდა.

კანონმდებლობის გათვალისწინებით, პარლამენტმა გენერალურ პროკურორად ირაკლი შოთაძე ექვსი წლის ვადით აირჩია.

ირაკლი შოთაძე გენერალურ პროკურატურას 2015 წლიდან ხელმძღვანელობდა. მან აღნიშნული თანამდებობა 2018 წლის 31 მაისს „ხორავას ქუჩის“ საქმესთან დაკავშირებით, საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა. ირაკლი შოთაძემ პროკურატურაში მუშაობა 2006 წლის მარტიდან დაიწყო და 2010 წლის სექტემბრამდე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

2

არჩილ თალაკვაძე: ბიძინა ივანიშვილი საკუთარ რესურსს, ფინანსებს, ძალისხმევას ქვეყნის განვითარებისთვის ხარჯავს!

„სტალინმა კორეელი ხალხი გაახარა“

12

საქართველო უნდა იყოს მწარმოებელი და არა მხოლოდ მომხმარებელი სახელმწიფო

7

საქართველოს შეუძლია თავისი თავის გამოკვება!..

ხელოვნური ინტელექტი გაჩაღებს მესამე მსოფლიო ომს!

8

ადამიანი მაღალი ტექნოლოგიების წინააღმდეგ

საგზაო დარგის პატრიარქმა თამაზ შილაკაძემ ორი უსასრულობა წარმატებით გადალახა

5

88

არჩილ თალაკვაძე: ბიძინა ივანიშვილი საკუთარ რესურსს, ფინანსებს, ძალისხმევას ქვეყნის განვითარებისთვის ხარჯავს!

ბიძინა ივანიშვილი სრულიად ლეგიტიმურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესში, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძემ** პარლამენტის პლენარულ სესიაზე გუშინ განაცხადა, სადაც საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის წლიური ანგარიში წარადგინა. მისი თქმით, პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მიმართ ოპოზიცია დეზინფორმაციის კამპანიას აწარმოებს.

„მსურს, გამოვეხმაურო დეზინფორმაციას, რომელსაც ოპოზიციის დესტრუქციული ნაწილი, მასთან დაკავშირებული მედიასაშუალებები და სუბიექტები ახორციელებენ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მისამართით. ბიძინა ივანიშვილი როგორც 2012 წელს ერთ-ერთ ყველაზე მძიმე არჩევნებში გამარჯვებული ლიდერი, შემდგომ პრემიერ-მინისტრი და ახლა მმართველი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე, სრულიად ლეგიტიმურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესში. ის საკუთარ რესურსს, ფინანსებს და ძალისხმევას ხარჯავს ქვეყნის განვითარებისთვის, საგანმანათლებლო კულტურული და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისთვის და უპრეცედენტო ქველმოქმედებისთვის, რომელსაც მისი ოჯახი უკვე 20 წელიწადია, პოლიტიკური პროცესებისგან დამოუკიდებლად ახორციელებს“.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოში მშვიდობის უზრუნველყოფა შეძლო.

„მისი ლიდერობით პოლიტიკურმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა, ბიზნესის თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დაცვა, მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება ჯანდაცვის, მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ინფრასტრუქტურის განვითარება და თვითმმართველობის ეფექტიანობის გაზრდა“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისი თქმით, მმართველი გუნდი რეფორმებს განაგრძობს და აქვს მომავალზე ორიენტირებული გეგმა.

„ჩვენ ვაგრძელებთ რეფორმებს, რა თქმა უნდა, გვაქვს გეგმა, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული. ჩვენი საზოგადოება, ჩვენი თანამოქალაქეები საპარლამენტო არჩევნებში გააკეთებენ საკუთარ არჩევანს. ჩვენ ვენდობით ჩვენს საზოგადოებას, ვენდობით ამომრჩევლებს, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებენ მოქალაქეები, რა თქმა უნდა, ჩვენ პატივს ვცემთ და ჩვენთვის ეს იქნება უპირობოდ მისაღები“, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ წლიური ანგარიშის წარდგენისას.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ჯარისკაცებს, პოლიციელებს, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლებს, ექიმებსა და სტარტაპეტებს საქმიანობისთვის მადლობას უხდის.

პლენარულ სხდომას, სადაც არჩილ თალაკვაძემ პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში წარადგინა, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია, საპატრულო პოლიციის ოფიცრები, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლები და ბიზნეს სტარტაპის „პულსარ ეი აი-ს“ წარმომადგენელი ესწრებოდნენ.

„გვეამაყება ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც იცავენ საქართველოს, რომლებიც ამერიკელ და ნატოს წევრი ქვეყნების ჯარისკაცებთან ერთად მსოფლიოს ურთულეს წერტილებში იცავენ მშვიდობას, თავისუფლებას და უსაფრთხოებას. აქ, ამ დარბაზში არიან საპატრულო პოლიციის ოფიცრები ოთარ თავართქილაძე და ავთანდილ მჟავანაძე, რომლებიც 18 დეკემბერს, ბათუმში, მოქალაქემ გააჩერა და მოულოდნელად აღნიშნულმა პირმა პატრულ-ინსპექტორ თავართქილაძეს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი პოლიციელის მეწყვილემ, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც დაიჭრა, თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზე დააკავა. მძიმედ დაჭრილ პოლიციელს გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. თანამშრომლების, მოქალაქეებისა და სამედიცინო პერსონალის დროული რეაგირების შედეგად, ოთარ თავართქილაძე გადავარჩინეთ და დღეს მეწყვილესთან ერთად

ჩვენთან არის სტუმრად. მადლობა მინდა, გადავუხადო ყველა პოლიციელს, ვინც ყოველდღიურად ემსახურება ამ რთულ პროფესიას და იცავს საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას. დღეს სხდომას ესწრება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომელი გიორგი ტატულაშვილი, რომელიც გასული წლის 30 აგვისტოს გორში გამოცხადდა გამოძახებაზე, სადაც პაციენტს სიმაღლიდან ვარდნის გამო აღენიშნებოდა ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა, ორმხრივი პნევმოთორაქსი და პოლიტრავმა. გიორგი ტატულაშვილმა ჩაატარა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და გააკეთა გულმკერდის დეკომპრესია 14G ტიპის კათეტერით, რითაც სიცოცხლე შეუნარჩუნა მოქალაქეს და გადაიყვანა ის უახლოეს კლინიკაში. გვეამაყება ჩვენი ექიმები, ექთნები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის პერსონალი. ამ მოწვევის პარლამენტში ჩვენ მივიღეთ საგადასახადო რეფორმები, რომლითაც ბიზნესს ნულოვანი საგადასახადო რეჟიმი დავუწესეთ რეინვესტირებულ მოგებაზე – ამ მოდელის ამოქმედებიდან დღემდე კერძო სექტორს 1.2 მილიარდ ლარზე მეტი დარჩა განვითარებისთვის. ჩვენ გადასახადები 1%-მდე შევუმცირეთ მცირე და საშუალო ბიზნესს და მხარი დავუჭირეთ ინოვაციური ბიზნესის და სტარტაპების დაფინანსების მექანიზმებს. დღეს პარლამენტში მოვიწვიე ბიზნეს სტარტაპის „პულსარ ეი აი“-ს წარმომადგენელი სოფიო ჭყოიძე, რომელიც დასაწყისში სახელმწიფომ გრანტით დააფინანსა, თუმცა ახლა არის პირველი ქართული კომპანია, რომელმაც აშშ-ში, კალიფორნიაში, „სილიკონ ველიზე“ 1.2 მილიონი დოლარის ინვესტიცია მოიზიდა და კლიენტებსა და ავტომობილების დილერებს შორის ავტომატიზებული სისტემის შექმნაზე მუშაობს, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს იყენებს და სწრაფ, ზუსტ და ეფექტურ მომსახურებას უზრუნველყოფს“, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

* * *

„პარლამენტი მუშაობს 2020 წლის პრიორიტეტებზეც, რომელსაც უახლოეს მომავალში კომიტეტებში კონსულტაციების შემდეგ საზოგადოებას წარვუდგენთ. მათ შორის განიხილება საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებათა პაკეტი, აზარტული თამაშების რეკლამის შესახებ ცვლილებები, კრიტიკული იქნება ჩვენი შემდგომი მხარდაჭერა განათლების სისტემის დაფინანსებაზე მთავრობის მისამართით“...

პლენარულ სხდომაზე, პარლამენტის თავმჯდომარემ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

„საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციებს დაეფუძნება და უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიის ჩატარების უფრო სამართლიან წესებს, პარტიებისთვის დაფინანსების ახალ სისტემას, თანაბარ წვდომას მედიაზე, პოლიტიკასა და არჩევნებში ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერას, საჩივრების განხილვის ვადების დაზუსტებას, მეორე ტურის ჩატარების წესებს და სხვა სიახლეებს, მინდა, გამოვხატო ინტერესი ცალკე აკვაკულტურის შესახებ პაკეტის გამო, რომლის მიზანია ეკონომიკის ამ სექტორის გაძლიერება, წარმადობის გაზრდა და შიდა მოთხოვნის უფრო მეტად უზრუნველყოფა“, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მისივე თქმით, მთავრობის პრიორიტეტი იქნება აგრეთვე აზარტული თამაშების რეკლამის შესახებ ცვლილებები, რომელიც უკეთ დაიცავს ბავშვებსა და ახალგაზრდებს აზარტული თამაშების ზეგავლენისგან, შეზღუდავს თამაშებზე დაშვებას ასაკობრივად, ხოლო თამაშდამოკიდებულ პირებს და მათ ოჯახებს დაეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად დაწყებული გვაქვს მუშაობა სტუდენტების შესახებ ახალ კანონმდებლობაზე, რომელიც შექმნის სტუდენტობის პერიოდში სოციალური უფლებების და ბენეფიტების, სტაჟირების და დასაქმების ახალ მექანიზმებს და ახალ შესაძლებლობებს. ამ პროცესში გვსურს ახალგაზრდებთან თანამშრომლობა და პაკეტის შემუშავება მათი ჩართულობით; ვიმუშავებთ „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტზე, ასევე მივიღებთ ტყის კოდექსს“ რომელიც უზრუნველყოფს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მდგრადობას და ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას; განათლების სისტემის დაფინანსებაზე კრიტიკული იქნება ჩვენი შემდგომი მხარდაჭერა მთავრობის მისამართით – 2022 წლისთვის განათლების სისტემის დაფინანსება არ უნდა იყოს დასაგეგმი წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ზე ნაკლები; რეალურად განათლება არის ყველა იმ გამოწვევაზე პასუხი, რომელიც დღეს დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე. განათლების სისტემის სწორი რეფორმით, შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯებით, ჩვენ შევძლებთ ეკონომიკის გაძლიერებასაც და სიღარიბის შემცირებასაც. ვიმუშავებთ საგადასახადო კოდექსის ცვლილებებზე, აგროტურიზმის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, რომელიც სოფლის მეურნეობას და ტურიზმს დააკავშირებს ერთმანეთთან, რითაც მეტი სინერგია იქნება ფერმერებს და ტურიზმის ინდუსტრიას შორის; დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი განიხილავს კონკურენციის შესახებ და ანტიდემპინგურ კანონმდებლობას და ცვლილებებს, რომელიც კონკურენციას კერძო სექტორში, მათ შორის, კერძო სუბიექტებსა და სახელმწიფო კომპანიებს შორის დაარეგულირებს უფრო უკეთ. ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის პროცესი გაგრძელდება და 30-ზე მეტი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა იგეგმება“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ ოპოზიცია საარჩევნო სისტემის შესახებ მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნდება. **„იმიტომ რომ, შეთავაზება, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს, არის სამართლიანი, პრაგმატული და კომპრომისულიც“.**

მისი თქმით, შეიქმნა მოცემულობა, როცა ხელისუფლება, „ქართული ოცნება“ და ჩვენი ამერიკელი მეგობრები ერთ პოზიციაზე არიან. **„აუცილებელია შეთანხმება კონკრეტულ პირობებზე და თამაშის წესებზე. ვინც რჩება ამის გარეთ, ეს არის ოპოზიციის დესტრუქციული ნაწილი. ვინც აცხადებს, რომ დიალოგში არ მიიღებს მონაწილეობას, ისინი არიან რეალურად საერთო შეთანხმების გარეთ“,** – განაცხადა თალაკვაძემ.

თალაკვაძის განცხადებით, „ქართული ოცნების“ შეთავაზება, რომ არჩევნები 100/50-ის სისტემით ჩატარდეს არის არსებითად განსხვავებული 77/73-სგან. **„აქ არის მომატებული პროპორციული ადგილები და მნიშვნელოვნად დაკლებული მაჟორიტარული. ასევე ჩვენ ვთქვით, რომ 2024 წლის არჩევნებს არ ვეხებით, ის რჩება პროპორციული, როგორც საკონსტიტუციო რეფორმის დროს მიღებული“,** – აღნიშნა თალაკვაძემ.

ГІОРГІ ГАХАРІА: ІРАКЛІ ШОТАЕЕ АРІС ЛІРСЕУЛІ ПРОФЕСІОНАЛІ!..

САЕАРТВЕЛОС ПРЕМІЕР-МІНІСТРІ ГІОРГІ ГАХАРІА ПАРЛАМЕНТІС ПЛЕНАРУЛ СХДОМАЗЕ ГЕНЕРАЛУРІ ПРОКУРОРОРІС ТАНАМДЕБОБАЗЕ ІРАКЛІ ШОТАЕІС КАНДІДАТУРІС КЕНГІСЕРІС САКІТХС ГАМОЕХМАУРА.

РОГОРЦ МАН АЛНІШНА, ШОТАЕІ ПРОФЕСІОНАЛІ ДА ЛІРСЕУЛІ АДАМІАНІА. **„ІРАКЛІ ШОТАЕІ АРІС ЛІРСЕУЛІ ПРОФЕСІОНАЛІ, РОМЕЛЕМАЦ ШЕЕЛО ХШІРАД МЕІМЕ ГАДАВЕЕЕТІЛЕБЕБІС МІЛЕБА ДА ПАСУХІСМГЕБЕЛОБІС АЛЕБА“.**

МАМУКА МДІНАРАЕЕ: ІРАКЛІ ШОТАЕЕМ ГАХСНА СААКАШВІЛІСА ДА ГЕЛАШВІЛІС САЕМЕЕБІ ДА СЕОРАД АМАС ВЕР ПАТІОБС „НАЦМОЕРАОБА“

ІРАКЛІ ШОТАЕЕ АРІС АДАМІАНІ, РОМЕЛЕМАЦ ЕРТІ КІТХВІС ДАСМІСТАНАВЕ ДАТОВА ТАНАМДЕБОБА. БУНЕБРІВІА, ЧВЕН МАС МХАРС ДАВУЖЕРТ, — АМІС ШЕСАХЕБ УМРАВЛЕСОБІС ЛІДЕРМА МАМУКА МДІНАРАЕЕМ ГЕНЕРАЛУРІ ПРОКУРОРОРІС ПОСТЕЗЕ ІРАКЛІ ШОТАЕІС КАНДІДАТУРАСТАН ДАКАВШІРЕБІТ ГАНАЦХАДА.

ІРАКЛІ КОБАХІДЕ: ЖЕР 48 МІЛІОНІ УКАН МОІТАНОН ДА МЕРЕ ВІЛАПАРАКОТ ПОЛІТПАТІМРОБАЗЕ

ВЕКІТХЕБІ ІМ ХАЛХС, РОМЕЛЕЦ ГІГІ УГУЛАВАСТВІС УСТЕВС — **МЕ РОМ ДЕЕС 48 МІЛІОНІ МОВІПАРО ДА МЕРЕ МОВІТХВО ЕВРОПАРЛАМЕНТАРЕБІСГАН, ЧЕМІ УФЛЕБЕБІ ДАІЦВАН ДА ПОЛІТІКАШІ ДАВРЧЕ, ЕС ЖАНСАЕІ ІКНЕБА?,** — АМІС ШЕСАХЕБ ЖУРНАЛІСТЕБС „ХАРТУЛІ ОЦНЕБІС“ ПОЛІТІКУРМА МДІВАНЕМА ІРАКЛІ КОБАХІДЕМ ГАНУЦХАДА. МІСІВЕ ТКЕМІТ, ЕВРОПАРЛАМЕНТАРЕБІС МХРІДАН 48 МІЛІОНІС МОПАРВАЗЕ КІТХВЕБІ АР ЕОФІЛА ДА ЕВЕЛАМ ІЦІС, РОМ ЕС 48 МІЛІОНІ ТБІЛІСІС МОСАХЛЕОБІС ФУЛІ ІЕО, „ЖЕР 48 МІЛІОНІ УКАН МОІТАНОН ДА МЕРЕ ВІЛАПАРАКОТ ВІЕЕАЦІС ПОЛІТІПАТІМРОБАЗЕ“...

* * *

200 „НАЦІС“ СТЕВЕНА САХАРТВЕЛОСА СІБНЕЛЕСЕ ВЕР ДААБРУНЕБС, — АМІС ШЕСАХЕБ САХАРТВЕЛОС ПАРЛАМЕНТІС УМРАВЛЕСОБІС ВЕРМА, ДЕПУТАТМА ІРАКЛІ КОБАХІДЕМ САКАНОНМДЕБЕЛО ОРГАНОСТАН МІМДІНАРЕ АКЦІАСТАН ДАКАВШІРЕБІТ ГАНАЦХАДА.

МІСІ ТКЕМІТ, САХАРТВЕЛОШІ АРАНАЕІРІ КРІЗІСІ АР АРІС, КРІЗІСІ АРІС МХОЛОД „НАЦІОНАЛУР МОМРАОБАШІ“.

„АДРЕ 200 „НАЦІ“ ІДГА АМ АКЦІЕБЕБЕ ДА 150 САД ГАКРА, ВЕР ГАВІГЕ, БУНЕБРІВІА, 200 „НАЦІС“ СТЕВЕНА САХАРТВЕЛОШІ СІБНЕЛЕСЕ ВЕР ДААБРУНЕБС, ЕС АРІС МАРТІВІ РЕАЛОБА. АРАВІТАРІ КРІЗІСІ АР АРІС, „НАЦМОЕРАОБАС“ УНДА, РАЕЛАЦНАІРАД АЦОЦХЕЛОС САКУТАРІ ТАВІ ДА АМ СТЕВЕНІТ ЦДІЛОБЕН АМІС ГАКЕТЕБАС. ХЕДАВТ, АРАНАЕІРІ РЕСУРСІ АР АКВТ ДА ЕС МІАНІШНЕБС, РОМ АРАНАЕІРІ КРІЗІСІ АР АРІС, КРІЗІСІ АРІС „НАЦІОНАЛУР МОМРАОБАШІ“, — ГАНАЦХАДА ІРАКЛІ КОБАХІДЕМ.

ПАРЛАМЕНТМА ВАЛЕРІ ГЕЛАШВІЛІС УФЛЕБАМОСІЛЕБА ЦНО

САЕАРТВЕЛОС ПАРЛАМЕНТМА 82 ХМІТ АРЦ ЕРТІС ВІНААЛМДЕГ ЦНО ВАЛЕРІ ГЕЛАШВІЛІС УФЛЕБАМОСІЛЕБА. ГЕЛАШВІЛІ „ХАРТУЛІ ОЦНЕБІС“ СІІТ АРХЕУЛІ ДЕПУТАТІС КАРЛО КОПАЛІАНІС АДГІЛМОНАЦВЕЕ ГАХДА.

ПАРЛАМЕНТМА КАРЛО КОПАЛІАНІС УФЛЕБАМОСІЛЕБА 5 ТЕБЕРВАЛС ШЕУВЕЕТА, МАС ШЕМДЕГ, РАЦ ІС ТЕХНІКУРІ УНІВЕРСІТЕТІС КАНЦЕЛЕРІ ГАХДА. КОПАЛІАНІС УФЛЕБАМОНАЦВЕЕ ВАЛЕРІ ГЕЛАШВІЛІ САМІ МОВЕВЕС ПАРЛАМЕНТІС ДЕПУТАТІА.

ХЕТА ХАРДІАНІ: РОЦА „НАЦЕБІС“ ДА МАТІ ЖАЛАТЕБІС ХЕБАС ДАІВЕЕБТ, ГАХСОВДЕТ, ІСІНІ МКВЕЛЕБІ АРІАН!

МОКЛЕ БІЗНЕСМЕНІС БЕСО ХАРДІАНІС ШВІЛІ, ХЕТА ХАРДІАНІ СОЦІАЛУР ХЕЛЕШІ ШЕМДЕГІ САХІС ПОСТС ВЕРС.

„9 ВЕЛІС ВІНАТ АМ ДЕЕС, АМ ДРОС ВАРАЗІСХЕВШІ ГААЧЕРЕС, ЕСТАКАДІС ХЕВШ МАНДХАНА МІАЕЕНЕБІНЕС, МАНДХАНІДАН ГАДМОІЕЕВАНЕС, ПІРШІ НАРКОТІКІ ЧААЕЕРЕС, МАНДХАНАШІ ЧАУДЕС ДА УДАНАШАУЕО АДАМІАНІ ДААКАВЕС. ШЕМДЕГ 8 ВЕЛІ МІУСАЖЕС, ДАНАШАУЕІСТВІС, РОМЕЕІЦ АРАСДРОС ЧАУДЕНІА.

АВАМЕС, ШЕДЕГАД „КУС ТБІС“ ВІЛЕБІ ДААТМОБІНЕС. ПІРВЕЛ ІНСТАНЦІАШІ ПРОЦЕСІ МОІГО. САСАМАРТЛОМ ТКЕВА, РОМ „КУС ТБА“ ІЕУЛЕБІТ, ВАМЕБІС ШЕДЕГАД ГАДААФОРМЕБІНЕС. САМАРТЛЕБРІВІ ГАЗІТ, РОМ ВЕР МОЕРІВНЕН, МОКЛЕС...

РОЦА НАЦЕБІС ДА МАТІ ЖАЛАТЕБІС ХЕБАС ДАІВЕЕБТ, ГАХСОВДЕТ, РОМ ІСІНІ МКВЕЛЕБІ ДА МВАМЕБЕБІ АРІАН! МАТІ ХЕЛІС ДАМФАРЕБЕБІ КІ УАРЕСНІ АРІАН!..“

АМЕРІКІС ЕЕЧІ ОПОЗІЦІАС ШЕХВДА

АМЕРІКІС ШЕЕРТЕБУЛІ ШТАТЕБІС ЕЕЧІ САХАРТВЕЛОШІ КЕЛІ ДЕГНАНІ ОПОЗІЦІІС НАВІЛС ШЕХВДА. ІНФОРМАЦІАС АМІС ТАОМБАЗЕ АШШ-ІС САЕЛЧО АВРЦЕЕЕБС. ШЕХВЕДРАС ЕСВРЕБОДА: ДАВІТ УСУФАШВІЛІ, ТІНА БОКУЧАВА, НІНО БУРЖАНАЕЕ, ГІГА БОКЕРІА ДА ГІОРГІ ВАШАЕЕ.

„ДЕЕС ЕЕЧМА ДЕГНАНМА ОПОЗІЦІІС ЛІДЕРЕБС ГАСАЦНОБАД ДА САХАРТВЕЛОС ПОЛІТІКУР ГАРЕМОЗЕ САУБРОД УМАСПІНДЕЕА. ЕЕЧМА ДЕГНАНМА КІДЕВ ЕРТХЕЛ ХАЗІ ГАУСВА ЕВЕЛА МХАРІС АКТІУРІ МОНАВІЛЕОБІС МНІШВНЕЛОБАС МІМДІНАРЕ ПОЛІТІКУР ДІАЛОГСА ДА ФАРТОМ САРЧЕВНО РЕФОРМІС ПРОЦЕСШІ ЕУТОО/ОДІРІС РЕКОМЕНДАЦІЕБІС ГАТВАЕЕЛІСВІНЕБІТ“, — НАТКВАМІА САЕЛЧОС ГАНЦХАДЕБАШІ.

ДЕВНІЛТА ДА ЕКОМІГРАНТТА САГЕНТО САХЛС КІДЕВ 17 ЕКОМІГРАНТ ОЖАХС ШЕУСЕЕДІС

ЕКОМІГРАНТІ ОЖАХЕБІС ГАНСАХЛЕБІС САКІТХЕБІС МАРЕГУЛІРЕБЕЛМА КОМІСІАМ 40 ГАНАЦХАДІ, КРІТЕРІУМЕБІС ШЕСАБАМІСАД, ГАНІХІЛА ДА 17 САХЛІС ШЕСЕЕДВІС ТАОМБАЗЕ ДАДЕБІТІ ГАДАВЕЕЕТІЛЕБА МІІЕО. САГЕНТОС ІНФОРМАЦІІТ, АМ ОЖАХЕБС САХАРТВЕЛОС ЕНЕБІСМІЕР РЕГІОНШІ САЦХОВРЕБЕЛІ ФАРТІС ШЕРЧЕВІСТВІС ЕРТТАВІАНІ ВАДА ЕЕЛЕВАТ. САГЕНТО СТІЕІУРІ МОВЕЛЕНЕБІС ШЕДЕГАД ДАЗАРАЛЕБЕЛ ОЖАХЕБС САХЛСА ДА САКАРМІДАМО МІЕЕС ЕАКВЕТС 25 000 ЛАРІС ФАРГЛЕБШІ ШЕУСЕЕДІС.

ЕКОМІГРАНТІ ОЖАХІС МІЕР ШЕРЧЕЕЛ САЦХОВРЕБЕЛС ЕРІРЕБЕЛЕБІС ДАДГЕНІС МІЗНІТ ЕКСПЕРТІЗА ЧАУТАРДЕБА. МХОЛОДО 2019 ВЕЛС САХЕЛМЕЕІФОМ САХЛІ 164 ЕКОМІГРАНТ ОЖАХС ШЕУДІНА. ЕС РІЦХВІ 2020 ВЕЛС КІДЕВ УФРО ГАІЗРДЕБА ДА УСАФРТХО ГАРЕМОШІ СТІЕІУРІ МОВЕЛЕНЕБІС ШЕДЕГАД ДАЗАРАЛЕБЕЛІ 250-МДЕ ОЖАХІ ГАНСАХЛДЕБА.

МАМУКА АРЕШІДЕ: ГІОРГІ МАРГВЕЕЛАШВІЛС АРА АКВС ШАНСІ, СІТУАЦІА РАДІКАЕЕРАД ШЕЦВАЕЕС

„АІ, МІХЕІЕЕ СААКАШВІЛІС МСГАВС АРААДЕКВАТУР ТІПС ШЕУДЕЕА, ДАЕІАН СЕРІОЗУЕАД ШЕЦВАЕЕС СІТУАЦІА, МАРГВЕЕЛАШВІЛІСНАІРС — АРА. АСЕТІА РЕАЕУРІ СУРАТІ“ — АМІС ШЕСАХЕБ ЕКСПЕРТМА МАМУКА АРЕШІДЕМ “АІПРЕСТАНС“ САХАРТВЕЕС ГІОРГІ МАРГВЕЕЛАШВІЛІС ПОЛІТІКАШІ ДАБРУНЕБІС ШЕФАСЕБІСАС ГАНАЦХАДА.

КІТХВАЗЕ, ІЕО ТО АРА САХАРТВЕЛОС МЕОТХЕ ПРЕЗІДЕНТІ ГІОРГІ МАРГВЕЕЛАШВІЛІ ПРЕЗІДЕНТОБІСАС РЕІТІНГУЛІ МАМУКА АРЕШІДЕ ДАСЕДЕНС:

„РАЦ ШЕЕХЕБА ГІОРГІ МАРГВЕЕЛАШВІЛІС РЕІТІНГС, МЕ АР МІНДА, АМАЗЕ ВІКАМАТО ДА ВТКВА, ХЕКОНДА ТО АРА МАС РЕІТІНГІ. ХАРТВЕЕЕ САЗОГАДОЕБА ВЕЕБІС ГАНМАВЕЕЕОБАШІ МІЕЧВІА ПРЕЗІДЕНТС, РОМЕЕІЦ АРІС ХЕЕНІС ПІРВЕЕЕ ПІРІ. ДАЕІАН РТУЕАД ХДЕБА ГАДАВЕЕЕОБА АХАЕІ РЕАЕОБІСАДМІ, РАСАЦ ХЕКВІА УФУНЕКЦІО ПРЕЗІДЕНТІ, ШЕЗЕЕУДЕЕЕ ФУНЕКЦІЕБІС ПРЕЗІДЕНТІ. АКЕДАН ГАМОМДІНАРЕ, САМВЕЕЕУХАРОД, САЗОГАДОЕБІС ДІДІ НАВЕЕЕІ, РЕАЕІСТУРАД ВЕР АЕІКВАМДА ВЕРЦ ГІОРГІ МАРГВЕЕЛАШВІЛІС ФІГУРАС, ВЕРЦ ЗУРАБІШВІЛІС ФІГУРАС, РОГОРЦ ПРЕЗІДЕНТС.

ВІНЦ САКМЕШІ ХАХЕДУЕІА, ГВЕСМІС, РОМ ЕВЕЕЕА ГАДАВІДА ММАРТВЕЕЕОБІС ТВАЕЕСАЗРІСІТ СХВА ЕТАПАЗЕ — САПАРЕЕАМЕНТО РЕСПУБЕЕІКАЗЕ. РТУЕІА, МАТ РЕІТІНГЕЗЕ ВІСАУБРОТ. АМ ТІПІС ПРЕЗІДЕНТЕБС РЕІТІНГІ ВЕР ЕКНЕБАТ.

ГІОРГІ МАРГВЕЕЛАШВІЛІС, РОГОРЦ ПІРОВНЕБІС МІМАРТ, ШЕІКЕЕБА, ДАДЕБІТІ ГАНЕЕЕОБАЦ ХЕКОНДЕТ, МЕ АМАС АР ГАМОВРІЦХАВ. ГІОРГІ МАРВЕЕЛАШВІЛІ АР ЕОФІЕЕА ІС, ВІСАЦ РАІМЕ ГАЕФУЖЕБІНОС, АН ЕВЕЕЕНІС ІНТЕРЕСЕБІС ВІНААЕМДЕГ ВАСУЕЕІЕО“, — АМБОБС АРЕШІДЕ.

„КІТХВАЗЕ, ТО РОГОРІА ГІОРГІ МАРГВЕЕЛАШВІЛІС ШАНСЕБІ ХАРТУЕ ПОЛІТІКАШІ ДАБРУНЕБІС ШЕМТХВЕВАШІ, АРЕШІДЕ ГАНМАРТАВС:

ШЕСАЕЕЕБЕЕІА ГІОРГІ МАРГВЕЕЛАШВІЛІС ПОЛІТІКАШІ МОБРУНЕБА, РАТОМАЦ, АРА? АЕЕБАТ, МАС ЕЕОЕЕЕБА ТАВІСІС МХАРДАМЖЕРЕБІЦ, МАГРАМ РАДІКАЕЕРАД ШЕЦВАЕЕС СІТУАЦІА? МАГІС ШАНСІ АР АКВС. АІ, МІХЕІЕЕ СААКАШВІЛІС ТІПС ШЕУДЕЕА, ДАЕІАН СЕРІОЗУЕАД ШЕЦВАЕЕС СІТУАЦІА, МАРГВЕЕЛАШВІЛІСНАІРС — АРА. АСЕТІА РЕАЕУРІ СУРАТІ“, — АМБОБС МАМУКА АРЕШІДЕ.

ШЕГАХСЕНЕБТ, ГІОРГІ МАРГВЕЕЛАШВІЛМА ЖУРНАЛІСТЕБТАН ГАНАЦХАДА, **„ЧЕМІ РЕІТІНГІ АР ДАЦЕМУЕА, РОГОРЦ ПРЕЗІДЕНТІ, РА РЕІТІНГІТАЦ МОВЕДІ, ІМАВЕТІ ДАВАМТАВРЕ“...**

ДЕЕС, КІ РОГОРЦ САЗОГАДОЕБІСТВІС ГАХДА ЦНОБІЕІ, САХАРТВЕЛОС МЕОТХЕ ПРЕЗІДЕНТІ ПОЛІТІКАШІ БРУНДЕБА, АМІС ШЕСАХЕБ МАН ТВІТЕРЗЕ „ГАБРАЗЕБУЕМА“ ДАВЕРА: **АМІС ЕУРЕБАС АР ВАПІРЕБ! ВУБРУНДЕБІ АКТІУР ПОЛІТІКАС!“**

ბოროტი თესლი კვლავ ღვივის

ჩვენი **წარსულის „წმინდა წიგნად“ შერაცხილი „ქართლის ცხოვრება“ პირველი მეფის ფარნავაზის მოღვაწეობას შეუდარებელი ქებათა-ქება-დიდებით ამკობს. მემატიანე წერს: „იყო განსუუნება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათვის ფარნავაზისსა და იტყოდეს ამას ყოველნი: „ეჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღვგიხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან. და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიმხნითა და სიმდიდრითა“. ფარნავაზის დიდ საქმეთა გვირგვინად „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე გამოჰყოფს: „ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა „ქართული“. მემატიანე მოგვითხრობს ხანგრძლივი ზეობის შემდეგ, ღვთაებრივი ძალმოსილებით შემკული მეფე გარდაიცვალა. ერმაც არნახული მწუხარებით დაიტირა „და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“.**

მეფის „სიბრძნე და სიქუელე“ არ აღმოჩნდა საკმარისი. მძლეთამძლე ღმერთკაცის ქმედებანი ელვისებურად მიეცა დავიწყებას და ქვეყანა ახალი განსაცდელის წინაშე დადგა. ლეონტი მროველი წერს: **„მოკუდა ფარნავაზ და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ“**. თითქოს ყველაფერი ბუნებრივი გზით უნდა წარმართულიყო, მაგრამ დროის მოკლე მონაკვეთში, ძველმა ქართველებმა არნახული მეტამორფოზა განიცადეს და დამყარებულ წესრიგს უწესრიგობა დაუპირისპირეს. მემატიანის სიტყვებით, „მას ჟამსა შინა ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: **„არა კეთილ არს ჩუენდა რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველი“**. ამ უკეთურ „ზრახვას“ მოსდევს კიდევ უფრო მძიმე ჩანაფიქრი. შეთქმულთა აზრით, მეფის მოკვლა დაუბრუნებდა მათ თავისუფლებას და დაბრუნდებოდნენ წარსულში.

ბოროტების სამსახურში ჩამდგარ ტომის ბელადებს სატანამ ათქმევინა ავზე ავი და ყოველივე ცუდის მომასწავებელი სიტყვები: **მოვკლათ საურმაგ და „მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე, რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ“. ასევე მძიმეა, „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა“**. ერისთავთა რწმენით, ნათესავის მსახურება „არა კეთილ არს“, უმჯობესია უცხო მძლე (დამპყრობელი)!!!

ჩვენი ისტორიაც ამ გაორებული და ბუნდოვანი გზით მოიკვლევდა საუკუნეებს. ანალოგიური შინაარსის შეგონებანი არც სხვა ხალხების წარსულშია ძნელი მოსაძებნი, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში შეფარული სახით მარადიული ხატება შეიძინა. საზოგადოების განვითარების ციკლური წრე-ბრუნვა ქართული მიწის თანდაყოლილი ვაება გახდა და შინაგანი მოუწესრიგებლობის გამო პერიოდულად გვახსენებდა თავს.

ქართლის ერისთავებს უკეთურებით დატვირთული სიტყვები, სავარაუდოდ, ძვ.წ. III საუკუნეში აღმოხდათ, მაგრამ დარჩა ჩვენს ისტორიაში, როგორც დაუძლეველი ყრუ კედელი და მოგვყვება, როგორც წყევლა, რომლისგან თავის დაღწევა ისტორიულად ჩვენი მიწის მარადიული სატკივარი იყო და არის!

დავიწყებას მიეცა ფარნავაზისადმი ღვთაებრივი ქედმოხრის სიტყვები, თაყვანისცემა იმ მეფისადმი, რომელმაც „აღგვიხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“. საურმაგის ქვეშევრდომებმა საკუთარ მეფეზე მორჩილება მიიჩნიეს უმძიმეს ტვირთად და შეეცადნენ მისგან თავის დახსნას, საამისოდ მზად იყვნენ, ხარკი მიეცათ „ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე“.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საურმაგის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება არის ეროვნულ მატიანეში დადასტურებული იმ რეალობის პირველი აღწერა, როდესაც ქართველებმა იარაღი აღმართეს ქართველებზე (მართალია, მემატიანის თხრობა ბოლომდე დამაჯერებელი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ასე სწამდა ქართულ ტრადიციას. ეს კი უამრავი ვარაუდის დაშვების საშუალებას იძლევა (ვარაუდი შეიძლება, იყოს მიახლოებითიც და მცდარიც. იმის გამო, რომ აღნიშნული ეპოქის შესახებ სხვა წყარო არ გაგვაჩნია, ორივე ვერსიის სათავედ ლეონტი მროველი რჩება).

საურმაგმა აღკვეთა ერთიანობის მოწინააღმდეგეთა ბოროტი განზრახვის პირველი რეალური გამოვლინება და შეინარჩუნა მეფის გვირგვინი.

ეროვნული წყაროს მოწმობით, განდგომისაკენ მიდრეკილება ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟიდანვე დაებედა ჩვენს ისტორიას და იქიდან მოკიდებული ღრღნიდა მის ხერხემალს. „არა კეთილ არს ჩუენდა...“ ყველა ეპოქაში დომინირებდა და ეს მიაჩნდათ სამართლიანობის მსახურებად. უკან დაბრუნებაში ხედავდნენ დაკარგული დიდების აღდგენას. ტომის ბელადებში ცოცხლობდა მოგონებანი გარდასულ დღეთა, როდესაც „არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს“. აზონმა და ფარნავაზმა დაასრულეს ტომობრივი დაქუცმაცებულობის ხანა და ჩამოაყალიბეს ქართველთა ერთიანობის იდეა. როგორც ჩანს, ერთიანობა ძალას ეფუძნებოდა და მძლეთამძლე ფარნავაზის გარდაცვალებისთანავე მოინდომეს დაკარგული დიდების აღდგენა. საურმაგმა მათ ოცნებას მახვილი ჩასცა, მაგრამ ბოროტების იდეა არ მომკვდარა.

საურმაგის ეპოქა ისტორიის ჟამთასვლას შეუერთდა, მაგრამ იმ დროს ჩასახული „თავისუფლების“ ნეტარი თესლი არ მომკვდარა, ხშირად იღვიძებდა და ჭექა-ქუხილის მსგავსად ატყდებოდა თავს ერის სულიერებას. ბოროტ ერისთავთა სიტყვები, „ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე“ როგორც ძვირფასი განძი, უხსოვარი დროიდან გადმოეცა საქართველოს და დროდადრო გამოიყენებოდა ქვეყნის საზიანოდ.

ქართველთათვის ისტორია არ არის ცხოვრების მასწავლებელი!

ძვ. წ. III საუკუნეში აღმოცენებული ბოროტება მარადიული აღმოჩნდა. ქართლის ერისთავთა არგუმენტი, **„არა კეთილ არს ჩუენდა — მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე“** დღემდე ბუდობს ქართულ მიწაზე, მაგრამ მოდერნიზებული ტერმინით, „სტრატეგიული პარტნიორი“ (აქედან გამოდის, საუკუნეებმა არც არაფერი გვასწავლეს და არც დაგვავიწყეს). „მძლეზე“ ორიენტირება სიცოცხლისუნარიანია დღესაც. განსაკუთრებით გაშალა ფრთები ახალი ქართული რეალობის შემქმნელთა ასპარეზზე გამოსვლიდან. შორეულ წარსულში მომხდარი გაუგებრობის პატიება შეიძლება ახსნა მათი სიბნელით, მაგრამ დღევანდელი „სწავლულები“ ევროპულ-ამერიკული დიპლომ-სერტიფიკატებით ხელდამშვენებულები განა შორს არიან წასულები? ზუსტად ისე განიკითხავენ ეროვნულ საკითხებს, როგორც საურმაგის დროინდელი ერისთავები.

ნაციონალები და მათი მემკვიდრეები გამრუდებული პატრიოტიზმით იწონებენ თავს. ავკაცობაზე აგებულმა რეალობამ დრო უკუღმა დაატრიალა. საუკუნეებმა გადაგვიქროლეს, მაგრამ ისტორიას მასწავლებლად ვერ ვაცნობიერებთ. საურმაგის ეპოქის ქართველების დონეზე ვდგავართ და მძლეთა-მძლეების, „ფრთოსანი ანგელოზების“ გამოჩენას ველოდებით, ლოდინში მთავარი გვავიწყდება, არც ერთი „მძლე“ კეთილი არ არის. ნუთუ ვერ უნდა დავძლიოთ გვაროვნული არისტოკრატიის შეზღუდული თვალსაწიერი? რატომ აფრქვევს იმავე სატყუარას ხელისუფლება? რატომ აჯილდოებენ „ბედნიერი ერის“ შვილები ოვაციებით ახლებურად მოაზროვნე „ბრძენთა-ბრძენებს“, რომლებიც ენაწყლიანად ქადაგებენ წინასწარმეტყველურ შეგონებებს. სინამდვილეში გარემო ოდნავადაც არ ირხევა, ადგილზე დგომა უკან სვლას რომ ნიშნავს, აღარც ეს გვახსოვს, მაგრამ სანამდის? ყველამ გაიღვიძა, ან იღვიძებს. ჩვენ რატომ გვისრულდება წყევლა? („არა კეთილ არს ჩუენდა... ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე“, მას მივცეთ ხარკი). „მძლენი“ მოდიან და მიდიან. სამშობლო გვიპატარავდება. საშველი არ ჩანს. სანამდე უნდა ვრჩებოდეთ „მძლეთა“ მოლოდინში? იმას კი არ ვაქცევთ ყურადღებას, რომ ყველა მძლე სათავისოდ ირჯება და არა საჩვენოდ. ასე იყო საუკუნეების წინათ და ასეა დღესაც.

ნაციონალების ნაანდერძევი ბრბოს დასამშვიდებელი „რეფორმები“ და „სტრატეგიული პარტნიორების“ თანადგომა გაუცვეთელ წინაპირობად ნავარდობს. წყლის ნაყვა წყალს მიჰყვება (ოცდაათი წელია ,წყალს ვნაყავთ და „სამშობლოს მამები“ გვარწმუნებენ, რომ ვუახლოვდებით მითიურ ღია კარს, რომლის შესასვლელში მრისხანე კერბერი (თუ ცერბერი) დგას. „ბედნიერი ერის“ შვილები მიმზიდველი მირაჟის უსასრულობაში მიუყვებიან წუთისოფლის ეკლიან გზას. დამოუკიდებელი საქართველოს მამები „მძლეს“ წყალობას ელოდებიან, მაგრამ უფალთან გათანაბრებულ „იმედს“ ჩვენთვის არ სცალია, მას საკუთარი საზრუნავიც თავზე საყრელად აქვს.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა იმართებოდა ბაღდადის, ისპაჰანის, კონსტანტინოპოლ-სტამბოლის, მოსკოვის ხელისუფალთა ნებით. ერი სულდგმულობდა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. მოდერნიზებულმა ახალმა ქართველებმა ევრაზიის კონტინენტი მცირე ასპარეზად მიიჩნიეს და მხსნელის მანტია ამერიკას მოასხეს.

ეროვნულ გრძნობებზე სპეკულაციით შესანიშნავად გრძნობენ თავს უმეტესწილად ხელმოცარული და გზას აცდენილი ადამიანები, რომელთაც პოლიტიკა იოლ საქმედ ეჩვენებათ და ორომტრიალი აქვთ ატეხილი „მძლეთა“ კალთებს შეფარებულებს.

უაღრესად გაუფასურდა მამულის სიყვარული, აღზევდა დაკნინებული ინტერესები. „მოვკლათ საურმაგ, და ვიყვნეთ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ“. მემატიანემ შესანიშნავად აღნუსხა დიდებულთა ბოროტი ზრახვა. მეფის მოკვლით ისინი იბრუნებდნენ თავისუფლებას. ვინ წარმოედგინათ თავისუფლების გარანტად? „ვინცა-ვინ მოვიდეს მძლე“. შორეული წინაპრების დარად თანამედროვე „ერისთავები“ შრომისა და ბრძოლის საპირისპიროდ, მომავლის გაცისკროვნებას მხსნელად მოვლენილ „მძლეს“ გვიხატავენ. და ამას დიდ საქმეთა კეთებად მიიწერენ. წარსულის ამ მახინჯი ფორმის აღორძინება ერს უკარგავს ძალმოსილების ენერგიას და აყალიბებს უმაქნის მასად. „ერის მამები“ კვალში მიჰყვებიან ნაციისტების „ქვაზე ამოკვეთილ კანონებს“ და საერთოდ არ აღელვებთ ის რეალობა, რომ სამშობლოს საზღვრების შემცირებასთან ერთად, კატასტროფულად მცირდება ქართველთა რიცხვი. ამ ტრაგიკული უბედურების დღის სინათლეზე გამოტანა თვალსაჩინოდ ხდის იმ სინამდვილეს, რომ მსგავსი გამანადგურებელი დარტყმა ერს არც ერთი ბარბაროსის შემოსევის დროს არ განუცდია.

იმ შორეულ, ლეგენდარულ წარსულში, როდესაც ტომის ბელადები თავს ქვეყნის ბატონ-პატრონებად თვლიდნენ, ბედნიერებად თვლიდნენ არა საკუთარი ძალების მოკრებას და სიმწრით გაერთიანებული მშობლიური მიწის გაძლიერებას, არამედ მის დაშლა-დაქუცმაცებას. ერთადერთ იმედად სახავდნენ „მძლეს“ გამოჩენას, რომელიც ნებაყოფლობითი ხარკის სანაცვლოდ დაამყარებდა წესრიგს და ბოლოს მოუღებდა „ნათესავთა“ მორჩილებას. ეს იყო ჯოჯოხეთისკენ მიმავალი ნატვრა, რომელიც ეადვილებოდა გონდაბინდულ ეროვნულ საქმეთა განმსჯელ „პატრიოტებს“. საზოგადოების განვითარების პრიმიტიული ციკლი, რომელიც ისტორიის საკუთრებად იყო მიჩნეული, არ მომკვდარა და საუკუნეების შემდეგ ახალ წამლეკ ტალღად აზვირთდა და მომნუსხველად დაფარა ხილული და უხილავი სივრცე.

ეროვნული პოლიტიკის ბრძენი სტრატეგოსები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მომხიბლავად შეამკობს მხსნელად შერაცხილ სტრატეგიულ პარტნიორს (საურმაგის ეპოქაშიც ანალოგიურად ფიქრობდნენ. რაც მიიღეს, კარგად არის ცნობილი).

ოცდასამი საუკუნის წინანდელი ბოროტი თესლი რატომ ღვივის დღესაც? რატომ ვაცხადებთ სტრატეგიულ პარტნიორს („მძლეს“) ღვთის ნების გამოხატულებად? სანამდე უნდა ვიოცნებოთ ცის გახსნაზე, რომ ჩვენს გასაკეთებელს „მძლენი“ გააკეთებენ? მსგავსი რამ ცისძვეშეთში არსად არასდროს მომხდარა. ერის მომავლის წარმართველები გვარწმუნებენ, რომ მოახლოებულია „მძლეს“ ძალმოსილების ჟამი და „ანგელოზი იუწყება ბაბილონის დაცემას“. „ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ ერმა რა დააშავა?

საურმაგის დროინდელი ქართველების დონეზე დიდხანს დავრჩებით?

გრანი ქავთარია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საგზაო დარგის პატრიარქმა თამაზ შილაკაძემ ორი უსასრულობა წარმატებით გადალახა

88

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება და შპს „საქგზამეცნიერების“ კოლექტივი დღეს, 2020 წლის 19 თებერვალს, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს დაბადების 88-ე წლისთავს ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ გენერალურ დირექტორს, ინსტიტუტის დამფუძნებელს და მის უცვლელ ხელმძღვანელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ **თამაზ შილაკაძეს** და უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს თავისი დიდი ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

რამდენიმე მაგალითის მოყვანაც საკმარისი იქნება საიმისოდ, ადამიანმა კარგად რომ აღიქვას, თუ რა შრომა არის გაწეული ათეულობით წლების მანძილზე ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ კოლექტივისა და პირადად თამაზ შილაკაძის მიერ, რომელმაც ეს ორგანიზაცია დააარსა 1965 წელს და მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იყო მიწვეული და პარალელურად ასრულებდა და დღესაც ასრულებს დაკისრებულ სამუშაოებს, მას არც ერთი დღე ინსტიტუტი არ მიუტოვებია.

„საქგზამეცნიერება“ დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ასოცირებული დარგობრივი ინსტიტუტია.

უკანასკნელ წლებში ინსტიტუტის ოთხმა თანამშრომელმა დაიცვა დისერტაცია და მიენიჭათ დოქტორის აკადემიური ხარისხი, სამმა თანამშრომელმა დაასრულა სწავლა დოქტორანტურაში და მომზადებული აქვს ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის დასაცავად.

ინსტიტუტში არსებულ ტექნიკურ კომპეტენტურობაზე აკრედიტებული საგზაო-სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ცენტრი ლაბორატორიულ მომსახურებას უწევს საგზაო დარგს მთელი ქვეყნის მასშტაბით. თავისი მოღვაწეობის დროს ინსტიტუტმა ტექნიკურ კომპეტენტურობაზე აკრედიტებული ხიდსაცდელი ლაბორატორიის მეშვეობით განახორციელა 1200 სახიდე გადასასვლელის გამოკვლევა-გამოცდის სამუშაოები, მოამზადა შესაბამისი სამეცნიერო ტექნიკური ანგარიში და დასახა შესაბამისი ღონისძიებები.

ინსტიტუტში დამუშავებული საპროექტო გადაწყვეტილებების საფუძველზე აშენდა მრავალი მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტი როგორც თბილისში, ისე ქვეყნის მასშტაბით. **კერძოდ: მზიურის ჩქაროსნული ტრასა, სატრანსპორტო კვანძი გმირთა მოედანზე, ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზა იყალთოს მთის ქვეშ გვირაბის მოწყობით, სატრანსპორტო კვანძი ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების გადაკვეთაზე, სატრანსპორტო კვანძი გ.ტაბიძის სახელობის ხიდთან, სატრანსპორტო კვანძი სარაჯიშვილის ქუჩისა და გელოვანის გამზირის გადაკვეთაზე, გოძიაშვილის ქუჩისა და ლისის ტბის დამაკავშირებელი გზა, ინტენსიფიკაციის ქუჩისა და ლისის ტბის დამაკავშირებელი გზა, გლდანის რაიონში შეშელიძისა და გობრონიძის ქუჩების დამაკავშირებელი გზა და ხიდი, სამება-მახათას დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, ზემო და ქვემო ფონოჭალის დამაკავშირებელი გვირაბი და მისასვლელი გზები, 700 მ-იანი საავტომობილო გვირაბი ზუგდიდი-მესტიის გზაზე.**

დღეს მიმდინარეობს 810 მ-იანი საავტომობილო გვირაბის პროექტირება ფშაველიაბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კმ-ზე და სხვა.

ინსტიტუტის კოლექტივი მაქსიმალურად ცდილობს, რომ დარგში ინოვაციური მიდგომები დაინერგოს, ქართულ ენაზე ეროვნული ნორმატიულ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად საჭირო ტექნიკური რეგლამენტები დამუშავდეს, სახელმძღვანელოები გამოიცეს.

ინსტიტუტის მოღვაწეობის ყველა მიმართულებით პირადად თამაზ შილაკაძის წვლილი შეუფასებელია.

თამაზ შილაკაძე არის მრავალი ათეული სამეცნიერო შრომის და გამოგონების ავტორი. საინტერესოა, რომ მისი ერთ-ერთი ბოლო სახელმძღვანელო „სატრანსპორტო კომუნიკაციების არქიტექტურა“ ითარგმნა ჩინურ ენაზე ჩინეთის ტექნიკური უნივერსიტეტის „Xin-Xiang“-ის ხელმძღვანელობის თხოვნით, როგორც სახელმძღვანელო ტექნიკური პროფილის სტუდენტებისთვის.

თამაზ შილაკაძე იყო საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის პროფესორი და კათედრის გამგე, იგი არის მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტის საპატიო პროფესორი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი და 2012 წლიდან საგზაო-სატრანსპორტო სისტემების და ინფრასტრუქტურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. იგი არის საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის აკადემიების ნამდვილი წევრი.

2018 წელს თამაზ შილაკაძე არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

იგი არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საუკეთესო საგზაო პროექტის ავტორი, ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის წლის ადამიანი, იგი არის მრავალი სახელმწიფო ორდენისა და მედლის კავალერი, მინიჭებული აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების ჯილდოები.

1965 წლიდან დღემდე ბატონი თამაზ შილაკაძე არის საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ თამაზ შილაკაძე, როგორც წესი, თავის დაბადების დღეს ატარებს გუდაურში თხილამურებზე...

ბატონო თამაზ! კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

იმედია, შევხვდებით საუკუნის თავზე!

დიდი პატივისცემით და სიყვარულით
საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება და შპს „საქგზამეცნიერების“ კოლექტივი.

საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა

წლეულს, 15 თებერვალს, ეროვნული ბიბლიოთეკის საქტო დარბაზში შედგა მწერლის, ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის ნიაზ ბოლქვაძის წიგნის „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ წარდგინება.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მეცნიერებმა, მწერლებმა, პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა. აღინიშნა რკინის მეტალურგიის როლი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში და უძველესი ქართველი ოსტატების ღვაწლი ამ საქმეში.

სამწუხაროდ, ბედის ანაბარად მიტოვებული ეს უძველესი კერების უმეტესობა დროთა განმავლობაში განადგურდა და დაინგრა.

გამომსვლელებმა აღნიშნეს ნიაზ ბოლქვაძის და მის თანამოაზრეთა ფასდაუდებელი დამსახურება საუკუნეების წინანდელი ქართველი ოსტატების დანატოვარის მოკვლევა-გადარჩენის საქმეში.

მეცნიერის ამ ნაშრომზე გაამახვილეს ყურადღება საზოგადოების ცნობილმა წარმომადგენლებმა: **რეზო ადამიამ, გვანჯი მანიამ, ნუგზარ ნადარაიამ, ვაჟა ნადირაშვილმა, თემურ შაშიაშვილმა, ოთარ ურუშაძემ, ალექსანდრე დიასამიძემ, როლანდ სანატაშვილმა, ვაჟა ბერიძემ და სხვებმა.**

ჩაქვის იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც აღმოჩენილი და გადარჩენილია ქურა-სახელოსნოები, კარგი იქნება, თუ ღია ცის ქვეშ მუზეუმი შეიქმნება.

ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ იდეის განხორციელებას, რათა წინაპართა დიდი ისტორია დავიწყებას არ მიეცეს.

თამაზ შენგელია

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,



– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

ომი, პოლიტიკა, ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები, სიკვდილი

უსახელოგის სასწაული, ავიაციის მფრინავის უსახელოგისდა დარად ანდა მფრინავ-გამანადგურებლისა თუ მონასტერში განდეგილისა, ის არის, რომ ნელ-ნელ, შეუმჩნევლად რაღაც ხდები. ბუნებრივი გადახარშვის პროცესში ვიღაც სხვად იქცევი.

* * *

გულზე სასწაულ ლოდად მადევს თანამედროვე ხანის დამაფრთხობელი უხეირობა, რაც ისევ იგივეა: ამჟამინდელი ხანა აზრის ხანა არ არის. საქმე ის არის, აგერ უკვე მთელი საუკუნეა, ყოველივე ძალზე სწრაფად იცვლება, აზრი კი მეტისმეტად ნელა ინელებს ამ ცვლილებებს.

* * *

გულითად მადლობას ვეუბნები ავიაჯგუფს 1-3 და იმის მეთაურს ტიბოდეს, ვინაიდან ზედ რომ არ გადამფარებოდნენ ამხანაგები ამ ჯგუფიდან, ახლა უკვე სამოთხეში პოკერს ვეთამაშებოდი მშვენიერ ელენეს ანდა კერცინგეტორიგსს, გილების მეთაურს... მე კი კიდევ სიცოცხლე მირჩევნია ამ ცოდვილ დედამიწაზე, თუმცაღა ბევრი რისამე მხრივ ფრიად მოუხერხებელი რამეა.

(ავიაჯგუფის ს-კ, საპატიო წიგნში ჩანაწერი, 1940 წლის 25 მაისი)

* * *

მემკვიდრეობა გადაეცემა არა პოლიტიკოსის ფორმულირების მიხედვით. პოლიტიკა მსხვერპლს არ ითხოვს. მსხვერპლი სჭირდება მხოლოდ თვითონ ხალხის მყოფობას და ყოველივე საუკეთესოს, რაც რამ ხალხშია, ანდა იმას, რაც ამ საუკეთესოს უკავშირდება.

* * *

ადამიანისა და ხალხის შესწავლა გარკვეული მანძილიდან არის შესაძლებელი; დროში ადამიანს ახლოისად რომ აკვირდები, შიგნეულს ხედავ. როს რამდენიმე წამს აკვირდები, ხედავ ამ შიგნეულის დანიშნულებას. ეს ყოველივე არ გამოხატავს ყოფა-ცხოვრებას.

* * *

ანარქისტის სიდიადე ის არის, რომ მარცხი განიცადა.

* * *

საშიშროება დაემუქრა თვით არსებობას. მაგრამ, როცა ის გადარჩება, ჩვენ წინაშე დადგება ჩვენი დროის ძირითადი საკითხი – ადამიანის დანიშნულების საკითხი. არცრა მზა პასუხი ჩვენ არა გვაქვს, და მგონია, რომ ისტორიის უღიმღამო დროების შესახვედრად ვმოძრაობთ.

* * *

1940 წლის ოქტომბერში, ჩრდილოეთ აფრიკიდან რომ დავბრუნდი, სადაც გადაადგილდა ჯგუფი 1-3, ჩემს ტანჯული თვითმფრინავს საღღაც სასაპნე ფიცრულში მიუჩინეს ბინა, მეც ავდექი და ორთვალა ეტლში შევაბი ცხენი. მოვუმარაგე ბალახი, გზისპირებში გავგლიჯე, გავიჩინე ცხვარი და რამდენიმე დავრგე ზეთისხილი. ეს ხეები სულაც იმისთვის არ მინდოდა, რომ ფანჯრებთან საათში ასეული კილომეტრით ჩამექროლა. სუყოველ იმ ხეს ჭეშმარიტ რიტმში ვხედავდი, ზეთისხილის დამწიფების ნელ რიტმში. არც ცხვრები მისდევდნენ უკვე ერთადერთ მიზანს რასმე – შეენელებინათ ჩემთვის საშუალო სიჩქარე. ისინი კვლავ ცოცხლდებოდნენ. მიდი-მოდიოდნენ და ნამდვილ დრემლას ტოვებდნენ უკან. და მატყლსაც ნამდვილს ისხამდნენ. ბალახსაც აგრეთვე ჰქონდა აზრი, ვინაიდან ისინი მიირთმევდნენ.

* * *

და ვიგრძენი, რომ ვცოცხლობდი დედამიწაზე ამ ერთადერთ კუთხეში, სადაც მტვერს იგივე სურნელი აქვს (არა, სამართლიანი არა ვარ: საბერძნეთში მტვერი ისეთივეა, როგორც პროვანსშია) და მომეჩვენა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ბრიყვი და რეგვენი ვიყავი.

მხოლოდ ერთი რამ მწადს – სიმშვიდე, თუნდაც სამუდამო.

* * *

ტან-სხეული მხოლოდ საშუალებაა, სხვა რამ მნიშვნელობა არა აქვს რა. ტან-სხეულისთვის ტრაგედია რამ არ არის.

* * *

იდეისთვის არ იხოცებიან.
იხოცებიან არსისთვის.
იხოცებიან თავიანთი ყოფა-ცხოვრებისთვის.

* * *

...ყველანი რაღაც უმაღლესისთვის მებრძოლნი ვართ.

* * *

ჩემი ჯილდო ის არის, რაც ვიცი: არის გამბედაობა ბევრად უფრო აღტაცების ღირსი, ვიდრე სიკვდილის წინაშე გამბედულებაა. სიკვდილის შიში იოლად დასაძლევია. მეტადრე ცხელ გულზე.

* * *

ისინი ფიქრობენ, საფრანგეთი ვართო, არადა, უნდა ესმოდეთ, რომ საფრანგეთიდან არიან, ეს კი სრულიად სხვადასხვა რამ არის!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-29

* * *

რაც რომ ცალკეული პიროვნებისთვის ვარგა, აზრსა კარგავს ხალხის დონეზე.

* * *

შეუძლებელია, უფრო სწორად, არ შეიძლება ისტორიის გადათხზულებება.

* * *

ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი რამ უწონადია. აქ ყოვლის თითქოს მთავარი ღიმილი იყო. ხშირად ღიმილია სწორედ მთავარი. ღიმილით ემადლიერებიან. ღიმილით აჯილდოებენ. ღიმილით სიცოცხლეს განანებენ და არის ისეთი ღიმილიც, რომლის გულისთვის სიკვდილსაც არ შეუშინდები.

* * *

ჩვენ ადმინისტრაციის ბრმა წიაღში ვცხოვრობთ.

* * *

ადვილია საზოგადოებაში წესრიგის დაფუძნება, უკეთუ ამ საზოგადოების წევრს ურყევ კანონთ დავუმორჩილებთ. ადვილია უსინათლოს აღზრდა, თუ ის წინააღმდეგობას არა სწევს და ემორჩილება ეტიკეტს ანდა ყურანს. ბევრად უფრო ძნელია ადამიანის გათავისუფლება, თუ იმას თავის თავზე მბრძანებლობას ვასწავლით.

* * *

იხოცებიან სახლისთვის და რამე საგნისთვის ანდა კედლებისთვის. იხოცებიან ტაძრისთვის და არა ქვებისთვის. იხოცებიან ხალხისთვის და არა ქაქანახირისთვის.

* * *

სიკვდილი უზარმაზარი რამ არის. აზრებთან, საგნებთან, მკვდრის ზნე-ჩვეულებებთან კავშირის ახალი ჯაჭვია. ერთი შეხედვით, თითქოსდა არაფერი არ შეცვლილა, არადა, ყველაფერი შეიცვალა. წიგნის გვერდები იგივეა, ოღონდ აზრი გახდა სხვა. იმისთვის, რათა ვიგრძნოთ სიკვდილი, ის საათი უნდა წარმოვიდგინოთ, როცა მიცვალებული გვჭირდებოდა, სწორედ მაშინ მოვისაკლისებთ იმას. წარმოვიდგინოთ ის საათი, როცა იმას შეიძლებოდა რომ დავჭირებოდით. მაგრამ საკვლაოდ იმას აღარ ვჭირდებით. წარმოვიდგინოთ მეგობრული სტუმრობის საათიც და ვიგრძნოთ იმ საათის სიცარიელე. მიჩვეულნი ვართ ცხოვრების მომავალში განჭვრეტას. არადა, დაკრძალვის დღეს აღარც მომავალია და აღარც სივრცე.

* * *

ომი ნამდვილი გმირობა კი არა, გმირობის სუროგატია.

* * *

გამარჯვება ადუნებს ხალხს, მარცხი ახალ ძალას უღვიძებს.

* * *

ნაზი ლიანების ხვევნა ვეება ტაძრებს ანგრევს.

ბავშვობა

მოზრდილთ თვითონ არცრა გაეგებათ რა, ბავშვთათვის კი მოსაბეზრებელი რამ არის უსასრულოდ სუყველაფრის ახსნა და გააზრება.

* * *

მოზრდილნი ფიქრობენ... დიდი ვინმენი ვართო.

* * *

მოზრდილთ ძალიან უყვართ ციფრები. ოდეს უყვები, ახალი მეგობარი გავიჩინეო, ისინი არცროდის ყოვლის უფრო მთავარს არ შეგეკითხებიან. არცროდის არ იტყვიან: „როგორი ხმა აქვს? რა თამაშები უყვარს? იჭერს თუ არა პეპლებს?“ ისინი გეკითხებიან: „რამდენი წლისაა? რამდენი ძმა ჰყავს? რამდენს იწონის? რამდენს იღებს ხელფასს მამამისი?“ და ამის მერე წარმოიდგენენ, რომ გაიცნეს ადამიანი.

* * *

პატარები ძალიან შემწყნარებელნი უნდა იყვნენ ასაკოვანთა მიმართ.

* * *

მარტო ბავშვებმა იციან, რასაც ეძებენ. მთელ ძალ-ღონეს ჭინჭის ტიკინებს ანდომებენ და ისინი ძალიან, ძალიან ეძვირფასებიან და თუ ვინმემ გამოსტაცა, ბავშვები ტირიან...

* * *

როდესაც ასაკოვანთ ეუბნები: „ვარდისფერი აგურით ნაშენები სახლი ვნახეო, ფანჯარაში ნემსიწვერა ღაღანებს, სახურავზე კი მტრედები ღუღუნებენო“, იმათ ვერაფრის დიდებით ვერ წარმოუდგენიათ ის სახლი. იმათ უნდა უთხრა: „სახლი ვნახე ასი ათასი ფრანკი ღირსო“, – და მაშინ უცებ წამოიძახებენ: „აი, სახლი მესმის!“

* * *

„ასტეროიდი-612“ ტელესკოპში მხოლოდ ერთხელ შეამჩნიეს, – 1909 წელს ერთმა თურქმა ვარსკვლავთმრიცხველმა, რომელმაც საერთაშორისო კონგრესს მოახსენა თავის ღირსშესანიშნავი აღმოჩენის თობაზე, მაგრამ არცვინ ყური არ შეიბერტყა, არ დაუჯერეს, და მხოლოდ იმიტომ, რომ თურქულად ეცვა... 1920 წელს იმ ვარსკვლავთმრიცხველმა მოახსენა კონგრესს თავისი აღმოჩენის თაობაზე. ამჯერად უკვე უკანასკნელი მოდის მიხედვით ეცვა – ყველანი ერთსულოვნად დაეთანხმნენ.

* * *

სუყოველი მოზრდილი თავდაპირველად ბავშვი იყო, მაგრამ ცოტა ვინმეს თუ ახსოვს ეს ამბავი.

* * *

დაპარგული ბალღი თავისით მთელ უდაბნოს ავსებს.

(დასასრული მორიგ ნომერში)



ეს იყო ეკზიუპერის ბოლო დავალება. 1944 წლის 31 ივლისი.

საქართველო GEORGIA-ს შტატში ერევათ!

ამერიკაში ქართულ ღვინოს კარგად არ იცნობენ...

ბოლო სამი წელია, ამერიკაში ქართული ღვინის იმპორტი საშუალოდ 54%-ით იზრდება. 2019 წლის პირველ ნახევარში კი ზრდამ 88%-ს მიაღწია. მხოლოდ გასულ წელს საქართველოდან აშშ-ში 466,056 ბოთლი ღვინო გავიდა, ღირებულებით 42,335,867. „კომერსანტი" დაინტერესდა, როგორია რეალობა, იცნობენ თუ არა ქართულ ღვინოს ამერიკაში, რა ბარიერებს აწყდებიან მეღვინეები და როგორ ეხმარება მათ სახელმწიფო?

„თელავის ღვინის მარნის" დამფუძნებელი ზურაბ რამაზაშვილი აცხადებს, რომ ამერიკაში ყველაზე დიდი პოპულარობით მშრალი ღვინოები სარგებლობს. ამერიკაში ქართული ღვინის ცნობადობა დაბალ დონეზეა, შესაბამისად, ჯერჯერობით მასიურ გაყიდვაზე საუბარი ადრეა.

„ჩვენი ღვინო ამერიკის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ღვინოა, წლიური მოცულობა დაახლოებით 100 000 ბოთლია. მყიდველი პროდუქტის ყიდვის გადაწყვეტილებას მაშინ იღებს, როდესაც პროდუქტის შესახებ ინფორმაცია აქვს. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ამერიკული საზოგადოების ინფორმირება იმის თაობაზე, რომ არსებობს ქართული ღვინო, რომელიც არის უნიკალური მნიშვნელობის, რათა ამერიკელმა მიიღოს გადაწყვეტილება ქართული ღვინის შეძენაზე. ეს მნიშვნელოვანია ყველა ბაზრისთვის, არა მხოლოდ ამერიკულისთვის. მნიშვნელობა ასევე აქვს ქვეყნის შესახებ ინფორმაციასაც. რეალურად ამერიკაში, ბევრმა საქართველოს არსებობის შესახებ არ იცის, საქართველო Georgia-ს შტატში ერევათ. სანამ მათ ინფორმაცია სრულად არ მიეწოდებათ, მანამდე ჩვენი პროდუქტის ცნობადობა დაბალი იქნება", — განმარტავს ზურაბ რამაზაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ღვინის ექსპორტი დივერსიფიცირებული აქვს, ბიზნესმენი ამბობს, რომ ამერიკის ბაზარი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან „ამერიკა „აზრის შემქმნელი" ბაზარია. ზურაბ რამაზაშვილი „კომერსანტთან" სახელმწიფოს როლზეც საუბრობს: **„სახელმწიფო აკეთებს ძალიან ბევრს, მას დაქირავებული ჰყავს კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ქართული ღვინის მარკეტინგს აწარმოებს და ცდილობს, ცნობადობა აამაღლოს. ეს არის დეგუსტაციები, შეხვედრები. მას შემდეგ, რაც კომპანიის დაქირავება მოხდა, ჩვენი გაყიდვები ამერიკაში იზრდება. მიჭირს კავშირის გაბმა კომპანიის ეფექტურ მუშაობასა და გაყიდვების ზრდას შორის. შესაძლებელია, ზრდა მათ გარეშეც მომხდარიყო, თუმცა ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში ქართული ღვინის გაყიდვები მუდმივად იზრდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ღვინის მომხმარებელი მეტწილად არის პოსტსაბჭოთა ემიგრანტი, მათთან დაკავშირებული ადგილობრივი ამერიკელები და მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც იყო საქართველოში, დააგემოვნა ქართული ღვინო და განმეორებით შეიძინა, როდესაც ამერიკაში დაბრუნდა. ახალი მყიდველის პოვნა ძალიან რთულია, რადგან ამ მარკეტინგულ კომპანიას სჭირდება ძალიან დიდი თანხის ინვესტირება, რაც, სავარაუდოდ, საქართველოს არა აქვს. ამერიკაში დიდია საკუთარი, ხარისხიანი ღვინის მოხმარება, ისინი არ არიან დამოკიდებულები სხვა ქვეყნების ღვინოზე და, რა თქმა უნდა, ესეც გასათვალისწინებელია"**, — აღნიშნავს **ზურაბ რამაზაშვილი.**

„მეღვინეობა ვაზიანს" ექსპორტზე გაქვს როგორც კლასიკური ტიპის ევროპული, ასევე ქვევრის ღვინოები. **კომპანიის დირექტორი ნათია მეტრეველი „კომერსანტს"** უყვება, რომ შეთანხმება ერთ-ერთ იმპორტიორთან 2018 წლის ბოლოს შედგა. წლიური მოცულობა დაახლოებით 10 000 ბოთლია, თუმცა, 2020 წელს „მეღვინეობა ვაზიანი" ექსპორტის ზრდას გეგმავს.

„წელს ვვარაუდობთ, რომ 50-პროცენტიანი ზრდა გვექნება, რადგანაც 2019 წელს ამერიკის ბაზარზე ზრდა აღირიცხა. გარდა ამისა, ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერაც აღიარებულია ამერიკის ბაზარი როგორც სტრატეგიული. ბიუჯეტშიც შესაბამისად გამოყოფილია სხვადასხვა აქტივობებისთვის თანხები, იქნება ეს დეგუსტაციები, გამოფენები თუ სხვადასხვა ღონიძიებები. ჩვენი კომპანია აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ვაზიანის პრემიუმ ბრენდით და „მაყაშვილის ღვინის მარნის" სახელით. ვფიქრობთ, რომ ზრდა ქვევრის ღვინოზე აუცილებლად იქნება, რადგან ამერიკულ ბაზარზე მოთხოვნა განსხვავებული სახის ღვინოზეა", — აცხადებს ნათია მეტრეველი.

თუ ზურაბ რამაზაშვილი ქართული ღვინის ცნობადობის ნაკლებობაზე საუბრობდა, რადიკალურად სხვა პრობლემაზე უსვამს ხაზს „მეღვინეობა ვაზიანის" გენერალური დირექტორი ნათია მეტრეველი. მისი განმარტებით, ღვინის სექტორის ყველაზე დიდი პრობლემა ხარისხია. მეტრეველი ამბობს, დიდი არეალია იმისთვის, რომ მოხდეს პროდუქციის ექსპორტი, თუმცა, მთავარია სწორად დაგეგმილი სტრატეგია.

„ყველა ბაზარზე მნიშვნელოვანია, მწარმოებელი კომპანიები, ექსპორტის ბოლო მომენტამდე ინარჩუნებდნენ ხარისხს და არ ხდებოდეს ხარისხის ცვლილება. ეს არა მარტო კონკრეტულ ერთ კომპანიას აზარალებს, არამედ მთლიანად, ქვეყნის მიერ წარმოებულ პროდუქტს „ურტყამს". ჩვენი სტრატეგიაა, რომ თაროზე მაღალ საფასო სეგმენტში ვიყოთ წარმოდგენილები. შესაბამისად, იმისათვის, რომ ეს ყველაფერი შევინარჩუნოთ, მნიშვნელოვანია მრავალი სახის ღონიძიებების ჩატარება და ცნობადობის გაზრდა", — განაცხადა ნათია მეტრეველმა.

ბაჩო ადამია

◎ **გლობალიზაციის დამღუპველი დოქტრინა**

ზვიად ტომარაძე:

საქართველოს შეუძლია თავისი თავის გამოკვება!..

საქართველო უნდა იყოს მწარმოებელი და არა მხოლოდ მომხმარებელი სახელმწიფო

ნიკო ნიკოლაძე ამბობდა: „ყოველი ერის საფუძველი, ძალა, მომავალი უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის მწარმოებლურობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით. ერი, რომლის წარმოებაც შეფერხდა და სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით ხეირიანად ვეღარ აჯილდოებს მწარმოებელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული. თუ ვერ მოვახერხეთ საკუთარი წარმოების გაუმჯობესება, გაიაფება, გაადვილება და გახვიანება, ჩვენი საქმე წასული და დაღუპულია".

საქართველოს უამრავი პრობლემა აქვს, თუმცა ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები ძირითადად სახელმწიფოს სიღარიბეს უკავშირდება. ექსპორტ-იმპორტ შორის უარყოფითი სალდო 6 მილიარდ დოლარს აღწევს. ქვეყანა ახდენს მუშახელის ექსპორტს და მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მათ მიერ ფულად გზავნილებზე, რაც წელიწადში მილიარდნახევარ დოლარზე მეტია. საქართველო უნდა გახდეს მწარმოებელი და არ უნდა იყოს მხოლოდ მომხმარებელი სახელმწიფო. ამისათვის კი უარი უნდა ვთქვათ არსებულ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკაზე. მოდით, ამერიკელ ეკონომისტს, ნობელის პრემიის ლაურეატს იოზეფ შტიგლიცს მოვუსმინოთ: **„შეძლებული ქვეყნები, რომლებიც ოფიციალურად თავისუფალ ვაჭრობას ქადაგებენ, უფრო ხშირად თავად იყენებენ საბაჟო გადასახადებსა და სუბვენციებს ღარიბი ქვეყნებიდან იმპორტის შესაზღუდად და ისინი ამით უარს ამბობენ ღარიბი ქვეყნების საექსპორტო შესაძლებლობების რეალიზაციაზე, რაც მათ სიღატაკისგან თავის დასაღწევად და ეკონომიკური ზრდისთვის ბიძგის მისაცემად სჭირდებათ".**

ვინაიდან სახელმწიფოში არ არსებობს შიდა ბაზრისა და ადგილობრივი წარმოების დაცვის პოლიტიკა, არსებული მიდგომა უნდა შეიცვალოს, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში პროტექციონიზმისა და პრეფერენციების მეშვეობით, აქტიურად ჩარევით. სანამ ინდუსტრიალიზაციისკენ ნაბიჯებს გადავდგამდეთ, თავდაპირველად, სასიცოცხლოდ აუცილებელია „სასურსათო ეკონომიკური უსაფრთხოების" შექმნა, რაც გულისხმობს მოსახლეობის ადგილობრივი წარმოების კვების ძირითადი პროდუქტებით უზრუნველყოფას. 2017 წელს შვეიცარიის ელჩმა **ლუკას ბეგლინგერმა** შემდეგი განაცხადა: **„მინდა გულახდილად გითხრათ, როდესაც თქვენი ბუნებრივი პირობების მქონე ქვეყანას საკვების 70-80% იმპორტით შემოაქვს, ეს არა მარტო არასწორი, არამედ არანორმალურია."** აგრარული სექტორის მიზანმიმართული განადგურების პოლიტიკის შედეგად, აგრარულ ქვეყანაში მოსახლეობის მიერ მოხმარებული სურსათის 70-80%-ზე მეტი იმპორტირებულია. ქვეყანაში შემოდის სასურსათო პროდუქციის ისეთი სახეობებიც, რომლის ძირითადი მწარმოებელი თვით საქართველო იყო (ხილი, კარტოფილი, პამიდორი, კიტრი, სტაფილო და სხვ.). მაგალითად, ბოლო წლებში კარტოფილის იმპორტი 19-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა ამ პროდუქციით თვითუზრუნველყოფა ქვეყანაში პრაქტიკულად 100%-ს შეადგენდა. დარგისადმი გატარებული ასეთი პოლიტიკა სრულიად მიუღებელი იყო ქვეყნისთვის, მაგრამ სამაგიეროდ ხელს აძლევდა მაღალი რანგის ჩინოვნიკებს, რომლებსაც ხელში ჰქონდათ ჩაგდებული სასურსათო ნაწარმის იმპორტის მონოპოლია.

პაატა კოლუაშვილი (პროფესორი): **„სამწუხაროდ, არავის უფიქრია უახლოეს ხანს მოსალოდნელ უმწვავეს კლიმატურ კატაკლიზმებზე და მისგან მოსალოდნელ მწვავე კრიზისზე, რაც საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებით, გარდაუვალია მსოფლიოში და რის ცუდი შედეგები, უპირველესად, სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებზე აისახება. საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები, რაც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. საქართველოს, ბიორესურსის გამოყენებით, შეუძლია 10-12 მილიონი ადამიანის გამოკვება. ამასთან, ის გამოირჩევა იმითაც, რომ აქ ადამიანის კვებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა და საკმარისი რეზერვია. ეს ნიშნავს, რომ სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია საკუთარი მოსახლეობის გამოკვება სამამულო წარმოების პროდუქციით. ანუ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ნებისმიერ სასურსათო კრიზისს, გამოვკვებოთ საკუთარი თავი და გარკვეული რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქცია ექსპორტზეც გავიტანოთ".**

სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, 2004 წელს გაუქმდა „მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი", შედეგად აღარ ვიცით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგული აქვს სახელმწიფოს და რამდენია კერძო მფლობელობაში, მათ შორის უცხოელების საკუთრებაში. ხელისუფლებას მრავალი წლის მანძილზე მოვუწოდებდი, აღედგინა აღნიშნული დეპარტამენტი, მისასალმებელია, რომ 2019 წლის თებერვალში ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება „მიწის მდგრადი მართვის სააგენტოს" შექმნის შესახებ, რაც 2020 წლიდან უნდა ამოქმედდეს. თუმცა საქართველო ერთადერთი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელსაც მიწის კოდექსი არ გააჩნია. სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკური ძალები ამაზე არ საუბრობენ, ვერც ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკური უსაფრხოების შესახებ საუბარს მოისმენთ მათგან. ჩვენს პოლიტელიტას საარჩევნო სისტემა და სკამების გადანაწილება უფრო აღელვებს, ვიდრე ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა, თორემ 3,7-მილიონიანი ქვეყნის ფეხზე დაყენება არც ისე რთულია ჩვენი მიწის, კლიმატისა და სხვა რესურსების გათვალისწინებით.

წერილს ამერიკელი პოლიტოლოგის **ჩალმერს ჯონსონის** სიტყვებით დავამთავრებ: **„გლობალიზაციის დოქტრინა სხვა არაფერია, თუ არა ლამაზად შეღებილი ფასადი, რომლის საშუალებითაც იგი თავის მსხვერპლს განვითარებად ქვეყნებში ადუნებს და მისი ყურადღება გადააქვს სხვა თემებზე, მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს რესურსებისაგან ფიტავენ და ისეთ მდგომარეობაში აგდებენ, რომ ვერასოდეს შეძლონ მათთან წინააღმდეგობის გაწევა".**

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲐᲩᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲡ!

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲓᲘᲓ ᲠᲘᲡᲙᲔᲑᲡ...

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲝᲛ�პᲘᲣᲢᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ Ო�პᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲚᲝ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲓ, ᲓᲐ ᲘᲡ ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ.

ის ასევე შეეხება ძალების შედარებას სამხედრო სფეროში და გეოპოლიტიკაში.

2017 წელს ჩინეთმა დააანონსა ახალი თაობის ხელოვნური ინტელექტის განვითარების პროგრამა, რომელშიც ნათქვამია, რომ „მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნები განიხილავენ ხელოვნური ინტელექტის განვითარებას როგორც ეროვნული უსაფრთხოებს დაცვის და კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს“.

პეკინმა გადაწყვიტა, 2030 წლისთვის ამ დარგში ლიდერობას მიაღწიოს.

ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებზე დაფიქრდნენ რუსებიც.

„ხელოვნური ინტელექტი არის რუსეთის და მთელი მსოფლიოს მომავალი. ის ქმნის კოლოსალურ შესაძლებლობებს, თუმცა, ამავე დროს შეიცავს ძნელად პროგნოზირებად საფრთხეებს. ვინც გახდება ლიდერი ამ სფეროში, ის იქნება მსოფლიოს მმართველი“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა 2017 წლის სექტემბერში სკოლების მოსწავლეებთან შეხვედრის დროს.

დღეს ხელოვნური ინტელექტის დამუშავებაში უპირობო ლიდერია აშშ — თუმცა, სულ უფრო ხშირად ისმის პროგნოზები, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკა დაკარგავს ამ თავის უპირატესობას.

2018 წელს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ჯეიმს მეტისმა მიწერა დონალდ ტრამპს წერილი, რომელშიც მოითხოვდა ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შექმნას.

„თუ ჩვენ არ დავიწყებთ უახლოეს დროში, მალე აღმოვაჩენთ, რომ უკვე გვიანაა“, — ამ სიტყვებით დაასრულა მეტისმა თავისი წერილი.

ხელოვნური ინტელექტი არ არის საბრძოლო საშუალება, ისეთი როგორც, მაგალითად, რაკეტა, და მისი გამოყენება არ შემოიფარგლება სამხედრო სფეროთი. თუმცა, მას შეუძლია საბრძოლო შესაძლებლობების სერიოზული შეცვლა, და შესაბამისად, ძალთა ბალანსის დარღვევა.

საზოგადოებრივი დებატები ფოკუსირებლია ავტონომიურ საბრძოლო სისტემებზე, რომლებსაც უწოდებენ „მკვლელ-რობოტებს“. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები გაცილებით უფრო ფართო და მრავალფეროვანია — ტექნიკური მომსახურება, გამოსახულების ამოცნობა, უპილოტო აპარატების კოორდინაცია.

1990 წლის ომმა სპარსეთის ყურეში დაგვანახა ყველას, რომ საინფორმაციო უპირატესობას ბრძოლის ველზე აქვს როგორც მინიმუმ ისეთივე მნიშვნელობა, როგორც უპირატესობას შეიარაღებაში და ჯარისკაცების რაოდენობაში. კომპიუტერებმა და ელექტრონულმა მოწყობილობამ მისცა ამერიკელ სამხედროებს სადამ ჰუსეინის ჯარის განადგურების საშუალება იმის მიუხედავად, რომ ერაყელების შეიარაღებაში იყო 4500 ტანკი.

რამდენიმე წელიწადში შტატებში შეიქმნა ქსელური ომის სტრატეგია, რომელშიც მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ ინფორმაციულ უპირატესობას.

თუმცა, თავისთავად მაღალი ტექნოლოგიების ფლობა არ იძლევა ომში გამარჯვების გარანტიას — გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენად კარგად არის ეს ტექნოლოგია ინტეგრირებული ჯარის სტრატეგიაში და ტაქტიკაში, რამდენად ადაპტირებულია თავად შეიარაღებული ძალები ახალ შესაძლებლობებთან, და რამდენად კარგად ფლობენ საკმაოდ რთულ ტექნიკურ მოწყობილობებს რიგითები და ოფიცრები.

სადღეისოდ შტატებმა, ჩინეთმა და რუსეთმა აირჩიეს განსხვავებული მიდგომები. ჩინეთი ცდილობს, შექმნას ახალი თაობის ხელოვნური ინტელექტი, რომელიც შეძლებს დღეს მხოლოდ ადამიანისთვის მინდობილი ფუნქციების შესრულებას — მაგალითად, ბრძოლის ველზე არსებული ვითარების გაანალიზება და შესაბამისი ბრძანებების გაცემა ადამიანის ჩარევის გარეშე.

პეკინი უკვე ფლობს სუპერკომპიუტერებს, რომელთა გამოთვლითი შესაძლებლობები აღემატება ადამიანისას. სირთულეს წარმოადგენს ამ ტექნოლოგიების პროგრამული უზრუნველყოფა, თუმცა, ჩინელები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებითაც.

აშშ-ის მიდგომა უფრო თავშეკავებული და პრაგმატულია, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის გონებასთან მიახლოებული ხელოვნური ინტელექტის შექმნას დასჭირდება ათწლეულები, ხოლო ომები მოსაგებია დღეს. ისინი აკეთებენ აქცენტს სპეციალიზებულ ელექტრონულ საშუალებებზე, რომლებიც ასრულებენ დამხმარეს ფუნქციას, იძლევიან რეკომენდაციებს, თუმცა არა აქვთ შეხება გადაწყვეტილებების მიღებასთან.

ამერიკულ ტექნოლოგიაში ყველა ვარიანტში საბოლოო სიტყვა ეკუთვნის ადამიანს.

მესამე გზით მიდის რუსეთი. მოსკოვი არ ცდილობს რობოტების დახმარებით გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებას და სიჩქარის გაზრდას — მას უბრალოდ სურს უფრო ხარისხიანი იარაღის შექმნა.

მაგალითისთვის გამოდგება ავტომატური მართვის რაკეტები, რომლებიც ანადგურებენ ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს, ან წყალქვეშა უპილოტო აპარატი „პოსეიდონი“, რომელსაც შეუძლია, შეუმჩნევლად ჩაიტანოს ატომური რაკეტები აშშ-ის სანაპიროსთან ახლოს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲔᲭᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔ ᲘᲛᲔᲓᲝᲕᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ, ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲒᲕᲐᲪᲘᲚᲔᲑᲡ ᲙᲝᲨᲛᲐᲠᲣᲚ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ �პᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲘ — ᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲐᲩᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲡ!!!

SUDDEUTSCHE ZEITUNG

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ პროკურატურამ ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციასთან კავშირის ბრალდებით 98 ადამიანის დაკავების ორდერი გასცა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ 98 ადამიანიდან 33 თურქეთის იუსტიციის სამინისტროს მოქმედი თანამშრომელია.

დაკავების ოპერაცია თურქეთის 15 პროვინციაში მიმდინარეობს, მათ შორის ქვეყნის დედაქალაქ ანკარაშიც. ამ მომენტისთვის უკვე 50 ადამიანია დაკავებული.

მასობრივი დაკავებები თურქეთში 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ დაიწყო. ანკარა გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორად აშშ-ში მცხოვრებ თურქ სასულიერო პირს ფეთჰულა გიულენს მიიჩნევს.

ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲗᲐᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ

ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ რუსების 80%-ს დასავლეთის რუსეთის პარტნიორად და მეგობრად ხილვა სურს, — ასეთია „ლევადა-ცენტრის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები..

რესპონდენტთა 16% დასავლეთს მოწინააღმდეგედ განიხილავს, 3% კი — როგორც მტერს. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 52%-მა განაცხადა, რომ რუსეთს აქვს საფუძველი უფრთხოდეს ნატოს, 35%-ის აზრით კი, რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს დასავლეთისთვის, ხოლო რესპონდენტთა 44% მიიჩნევს, რომ რუსებს ნატოსი არ უნდა ეშინოდეთ.

ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲨᲘ

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ აცხადებენ, რომ პრორუსული სამხედრო დაჯგუფებები დონბასში უკრაინის შეიარაღებულ ძალებს უტევენ. როგორც უკრაინის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრში განაცხადეს, „ოკუპანტები მინსკის შეთანხმების აკრძალულ შეიარაღებას იყენებენ“,

„მტერი იყენებს 120 მმ-იანი კალიბრის ნაღმმტყორცნებს. ასევე ცეცხლს ხსნის სხვადასხვა ყუმბარმტყორცნიდან და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან“, — ნათქვამია ოპერატიული შტაბის ინფორმაციაში.

უკრაინელი სამხედროების ცნობით, მეტოქე აქტიურ შეტევაზე გადავიდა და ე.წ. დაშორიშორების ხაზის გადაკვეთა სცადა. როგორც იუწყებიან, არიან დაღუპულებიც, თუმცა მათი რიცხვი არ სახელდება. თავის მხრივ, თვითგამოცხადებულ ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკაში ამტკიცებენ, რომ ცეცხლი უკრაინელმა სამხედროებმა გახსნეს.

მე გახლავართ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი. ვაპირებ დავიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების ენობრივი თავისებურებანი“. თქვენი ზღაპრები ყველას უყვარს, მათ შორის მეც და, ცხადია, ჩემი კვლევის ერთი ნაწილი საგანგებოდ ეძღვნება თქვენს შემოქმედებას. გადავწყვიტე, მოვსულიყავი თქვენთან, რადგან თქვენს ზღაპრებზე თქვენვე გესაუბრათ და, ბუნებრივია, თქვენი მსჯელობა ბევრად უფრო ღირებული და მრავლისმთქმელი იქნება, ვიდრე — ჩემი...



კაცის ოხვრა დაეფინა ყვავილებს...

– გ-ნო გურამ, როგორც მკითხველი, რას ეძებდით და რას ეძებთ ახლაც ზღაპრებში?

– არ მიფიქრია ამაზე, უბრალოდ ბავშვობიდან მიყვარდა ზღაპრები. ჩემთვის, მაგალითად, „ჭრელო პეპელა“ და „ჩემო ციცინათელა“ ზღაპრებია. საერთოდ, აკაკი წერეთელი ნახევრად ზღაპრებს წერდა. ჩემთვის ყველაზე დიდი ზღაპარი, რომელიც აქამდე წამიკითხავს, არის ვაჟა-ფშაველას „სათაგური“; ჩემი ოცნებაა, ოდესმე დავწერო ამის გაგრძელება, იმიტომ რომ, ესტატე ისეთი კაცია, ის უნდა იყოს და ცოცხლობდეს ჩვენს სინამდვილეში, ასევე ფიცხელას უნდა ჰყავდეს შვილები და შვილიშვილები. კაცი, რომელიც ზღაპრების წერას დაიწყებს, შეყვარებული უნდა იყოს ჰანს კრისტიან ანდერსენზე, საოცრად მიყვარს ასტრიდ ლინდგრენი, მიყვარს „ვინი პუჰის“ ავტორი ალან მილნი. ასევე, არ დაგიმალავთ, რომ ზღაპრებთან რაღაცა შეხება აქვს „შერლოკ ჰოლმსს“ და მიმაჩნია, რომ ისინი ნახევრად ზღაპრებია.

– რას ფიქრობთ, ზღაპრები მხოლოდ ბავშვებისთვის იწერება, თუ უფროსებისთვისაც?

– ნამდვილი ადამიანი ზღაპარს წაიკითხავს სიკვდილამდე. მე ვიცნობ რამდენიმე ისეთ პიროვნებას, რომლებიც სიმერეშიც სიამოვნებით კითხულობენ ზღაპრებს. ერთ-ერთმა მეზღაპრემ დაწერა, რომ მე ვწერ ზღაპრებს ათი წლიდან ას წლამდე ასაკის ადამიანებისთვისო. მე მგონია, ასე უნდა იყოს. ყოველშემთხვევაში, მე არასოდეს არ ვფიქრობ, როცა ვწერ ზღაპარს, რამდენი წლისამ უნდა წაიკითხოს ის. მე ძალიან გამიკვირდება, თუ მითხრეს, რომ ეს 7 წლისთვის დაგიწერია, ეს – 8 წლისთვის, ეს – 11 წლისთვის და ა.შ. კარგი ზღაპარი ყოველთვის კარგია წასაკითხად.

– რომელიმე ზღაპრის პერსონაჟი თქვენ თვითონ ხომ არ გრძანდებით?

– ვერ გეტყვით, რომ ზღაპრის წერის პროცესში რომელიმე ჩემს პერსონაჟში საკუთარი თავი ამომეკითხა. სხვათა შორის, აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ, თუ ზღაპრების წიგნი ბავშვებისთვის გამოდის, მაშინ იგი უნდა დახატოს კარგმა მხატვარმა, თორემ მანამდე ის წიგნი არ არის, მანამდე ის არის ტექსტი. მე მქონდა ბედნიერება და ჩემი ზღაპრები სხვადასხვა დროს დაასურათეს; 1988 წელს გამოვიდა ჩემი „პატარა ქალაქის ზღაპრები“, რომელიც გემოვნებით დაასურათა ქ-ნმა ნანა ჭურღულიამ. მან შეასრულა გრაფიკული კუთხით. მერე, როგორც ფერწერას, ასე შეხედა უკვე, სულ ახლახან ქ-ნმა ნინო ჩაკვეტაძემ. როდესაც მან დახატა ჩემი წიგნი და ვნახე ეს დახატული ზღაპრები, იმდენად მომეწონა, რომ ვთხოვე ერთი ილუსტრაციის დედანი ჩემთვის ეჩუქებინა. იქ ხატია პატარა ბავშვი, რომელსაც დიდი თაიგული უჭირავს ხელში. აღნიშნული ნახატი ახლა ჩემი სახლის კედელს ამშვენებს. ეს ყვავილები ბიჭუნამ თავისი სიზმრებიდან გამოიტანა. ახლა მგონია, რომ მე ის ბიჭი ვარ. მე ზღაპრები გამომაქვს ჩემი ოცნებებიდან, ისევე როგორც მან გამოიტანა თავისი სიზმრებიდან ყვავილები. მე გამიხარდება, თუ ასე აღმიქვამს მკითხველი. ცოტა ხნის წინათ გამოვიდა „ირინეს ზღაპრები“ – ირინე ჩემს უმცროს ქალიშვილს ჰქვია; „პატარა ქალაქის ზღაპრებში“ შეხვდებით ზღაპარს „პიკო და ოლიკო“ – ოლიკო ჩემი უფროსი შვილის სახელი გახლავთ.

– თქვენს ზღაპრებში ხშირია ქოლგა, ქუდი, შადრევანი. ამ სამივეს აერთიანებს ის, რომ რაღაცას თავზე, ზემოდან ეფარებიან და თითქოს რაღაცისაგან იცავენო. ნიშანდობლივ დანიშნულებას ანიჭებთ მათ, თუ მწერლური ფანტაზიის ნაყოფია?

– რა დაგიმალოთ, და მე ნახატი ფილმების რეჟისორიც ვარ, ამიტომ კარგად მესმის მხატვრობა. მიყვარს ჯორჯონე, ბოტიჩელი, მიქელანჯელო, ლეონარდო, რაფაელი. შედარებით თანამედროვე მხატვრებიდან განსაკუთრებით გამოვარჩევდი ვან გოგს. იგი ერთადერთია, ვინც ხატავდა ვარსკვლავებს. მან დახატა „ღამის კაფე“, რომელსაც ვარსკვლავები დაჰნათიან თავზე, ის საოცარი სანახავია. რა თქმა უნდა, ვაფასებ ქართველი მხატვრების შემოქმედებას. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დიმიტრი ერისთავის „იების გამყიდველმა“ და ის დღემდე ჩემს უსაყვარლეს ნახატად რჩება. მომწონს პიკო ნიუარაძე და მისი „ჩიტების გამყიდველი“; ასევე ნიკო ფიროსმანი, დავით კაკაბაძე; უფრო აქეთ მერაბ ბერძენიშვილი და ელგუჯა ამაშუკელი. ცხადია, ნინო ჩაკვეტაძეც მათ შორისაა და მიმაჩნია, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მხატვარია. ვცდილობ, ჩემი ზღაპრებიც ასეთ ნახატებს დავამსგავსო.

– თქვენი ზღაპრების კეთილი პერსონაჟებისთვის, თითქოს არ არსებობს ზღვარი ამ სამყაროსა და იმ სამყაროს შორის; მაგ.: „თეთრსულელა“ ცისარტყელაზე ცეკვავს, „მექუდე“ ცაში დაფრინავს, „უცნაური მხატვარი“ ღრუბელზე ცხოვრობს. ხალხურ ზღაპრებში ცის პყრობა შეუძლიათ ბოროტ პერსონაჟებსაც, თქვენთან კი – მხოლოდ კეთილს. რისი თქმა გსურთ ამ ორიგინალური დეტალით?

– შეიძლება ითქვას, რომ ეს გაცნობიერებული მაქვს. არცერთ ჩემს ზღაპარში არავის არ ვკლავ; ბოროტისთვის ყველაზე დიდი სასჯელი ისაა, რომ მან დაიყვირა საშინლად და გადაიკარგა ქალაქიდან. ცა არის ცისფიქრიანი და ცაში მხედველი ადამიანების სარკე. გონიერმა ადამიანმა, საჭიროა, ზოგჯერ ცისკენ აიხედო და ცაზე იფიქრო. ერთ-ერთ ჩემს ზღაპარში, რომელსაც „მექუდე“ ჰქვია, ასეთი რამ დავწერე: „და თუ ცა გახსოვს მუდამ, არ შეიძლება, კარგი კაცი არ იყო.... გადმოიხედავს მექუდე და გადმოისვრის პაწია ქუდს. იფრენს ქუდი, იფრენს და დაეხურება ბავშვს... ბავშვი აიხედავს და ქუდს დაუქნევს დიდ მექუდეს... და სამუდამოდ დაამახსოვრდება მთვარით განათებული ვეება ქუდი ზედ გაშლილი ქოლგით... ამიტომაც კვლავაც დადიან ქალაქში ცადმაცქერალი და ცისფიქრიანი ადამიანები.“ აი, ასეთი ადამიანები არიან ღირსნი, რომ იყვნენ კეთილები და არიან კიდეც. ცუდებზე არ მიფიქრია, არასოდეს გამჩენია სურვილი, რომ მათაც ეფრინათ ცაში. ცუდი რატომ უნდა დაფრინავდეს? – ის არ არის ამის ღირსი. ...

– თქვენს ზღაპრებში ბოროტი მხარე არ არის წარმოჩენილი იმ დოზით, რა დოზითაც ქართულ ხალხურ, და საერთოდ, მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში. თქვენთან ბოროტი ქვეტექსტში ამოიკითხება, და ისიც შერბილებული სახით. რატომ არ დაუპირისპირეთ აშკარად კეთილი ბოროტს?

– ალბათ, ეს განაპირობა ჩემმა აღზრდამ. მე გავიზარდე ძალიან კეთილი მშობლების ოჯახში. სამი ძმა ვიყავით. მამაჩემი სამივეს გადაგვხვევდა ხელს და გვეტყოდა: თქვენ ხართ ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრეო. დედაჩემი ფოლკლორის უზადო მცოდნე გახლდათ. სულ ზეპირად იცოდა ხალხური გამოთქმები; მახსოვს, ხანდახან იტყოდა: „ამოდი სულო, და ჩადი.“ ჩემი მშობლები სიკეთისთვის ცხოვრობდნენ. გამორჩეულად მიყვარდა ოლღა მამიდა და ელო ძალო, ისინი საოცარი პიროვნებები იყვნენ. ელო ძალო ქართლიდან იყო. კერვა თვითონ ისწავლა და როდესაც მას საკერავი მანქანა აჩუქეს, მთელი რაიონის ქალებს დიდი სიხარულით უკერავდა კაბებს. თვითონ ცხოვრების ბოლომდე ერთი საღღესასწაულო კაბა ჰქონდა. მამიდაჩემი რაჭაში, ზემო თლუხში ცხოვრობდა და ხშირად ვსტუმრობდი მას; ღმერთის ღრმად სწამდა და ამას არავისთან ამბობდა ხმამაღლა. აი, ვითომ ასეთმა პატარა დეტალებმა მე მომავალში დამანახეს და მაპოვნინეს დიდი სიკეთე, სამართლიანობა და ის ჭეშმარიტი იდეალი, რისთვისაც უნდა მეცხოვრა.

– ხალხურ ზღაპრებში გადაქცევა სასჯელის ერთ-ერთი ფორმაა და ის „დამნაშავის“ (გადაქცეულის) ნების წინააღმდეგ ხორციელდება, თქვენს ზღაპრებში კეთილი პერსონაჟები თავიანთი სურვილისამებრ იცვლიან სხეულს და, ამდენად, ამგვარ ტრანსფორმაციას თქვენს შემოქმედებაში კეთილი მოტივი უდევს საფუძვლად; მაგალითად, თქვენი პერსონაჟებიდან შემიძლია გავიხსენო მსახიობი, რომელიც ბავშვების ოცნებებად განსხეულდება. რა იდეას გვთავაზობთ ამ ჩანაფიქრით და რა ფუნქცია აკისრია გადაქცევის მოვლენას თქვენს ზღაპრებში?

– იმისათვის, რომ შენ კარგად გაიგო ადამიანების სურვილები და მიზნები, შენვე უნდა შეგეძლოს იმ არსებებად გადაქცევა, რაზეც ისინი ფიქრობენ; ის თუ ძაღლზე ფიქრობს, შენ უნდა შეგეძლოს, გახდე ძაღლი რაღაცა დროის განმავლობაში და, აი, მაშინ გაიგებ, თუ რატომ უყვარს იმას ძაღლი. სხვისი სიყვარული გიკარნახებს, მთავარია, მოუსმინო. ...

– დამკვიდრებული განმარტების თანახმად, ზღაპარი არის გამოგონილი, ფანტასტიკური ამბავი. მე, როგორც მკითხველს, მრჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენი ზღაპრები არ ერგებიან ასეთ განმარტებას, და სინამდვილეში, ისინი ძალიანაც ნამდვილები არიან; უბრალოდ, მათ მხოლოდ იმიტომ მოსავთ არარეალურის საბურველი, რომ ამას ადამიანები არ გააკეთებენ, იმდენადაა გაციებული მათი გულები, მიუხედავად იმისა, რომ შესწევთ ძალა ამის აღსრულებისა. ამბობენ, ყველაფერი გენიალური მარტივიაო. ... შემიძლია, ასე ვიფიქრო?

– ცხადია, გაქვთ უფლება. პირველ რიგში, უნდა ითქვას ის, რომ ზღაპრებში იწერება სიმართლე; შესაძლოა, ტექსტის გარეგნულ მხარეზე დაკვირვებით, მართლაც გამონაგონთან გვქონდეს საქმე, მაგრამ ზღაპრის იდეა, მორალი, მისგან გამომდინარე დასკვნები, ზღაპრული ხედვა და შეფასება პრობლემებისა, მიდგომა მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ, ერთმნიშვნელოვნად დიდი სიმართლეა, უტყუარი ჭეშმარიტებაა და ჩვენს რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ნამდვილად არსებული და ფესვგადგმული. როგორ შეიძლება, ის იყოს ცუდი, ტყუილი, სადაც მუდამ სიკეთე იმარჯვებს? ჩვენ ერთად უნდა მოვახერხოთ და დავუბრუნოთ ზღაპრებს უსამართლოდ ჩამოხსნილი ღირსება და საპატიო ადგილი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. იცით, მეზღაპრემ (არის სიტყვა მუცლითმეზღაპრეც) ქართულ ენაში მატყუარას მნიშვნელობა მიიღო, რაზეც მე ძალიან ვწუხვარ და გამიხარდება, თუ ჩემზე იტყვით (ან დაწერთ), გ-ნი გურამ პეტრიაშვილი ლიტერატურული ზღაპრების მწერალიაო. ეს, რა თქმა უნდა, იმ დრომდე, სანამ საქართველოში არ შეიცვლება ხალხის დამოკიდებულება ზღაპრებისადმი; მერე, ისევ მეზღაპრე გავხდები. როდესაც რამეს დავწერ, არ ვფიქრობ, რომ ის არ მოხდება, შეიძლება, მოხდეს კიდეც. ჩემთვის სასწაულს მაშინ აქვს ფასი, როდესაც ამისთვის კეთილი კაცი რაღაც მსხვერპლს გაიღებს. მე არ მიყვარს „ჰარი პოტერი“, რადგანაც იქ პირდაპირ ეძლევათ პერსონაჟებს უნარი და ძალა, რომ ცეცხლი გამოყარონ ხელიდან. ჩემთვის ისაა სასწაული, როდესაც ამ სასწაულისთვის სასწაულმოქმედი თავისას გაიღებს, ან თავის სიცოცხლეს, ან წლებს, მაშინაა სასწაული ჩემთვის ფასეული. შეიძლება, იარო სკოლაში, ისწავლო ჯადოქრობა და გააკეთო რაღაც ჯადოქრული, მაგრამ ვერასოდეს შედგე ჯადოქრად, რადგან ამისთვის შენ შენი არ გაგიღია. ჯადოქრობას ვერავინ გასწავლის, ის შენი გულიდან და სულიდან მოდის.

– რაიმე მოვლენის გადმოცემისას თქვენ იყენებთ ბავშვებისთვის ნაცნობ საგნებს და ამგვარი ხერხით ახვედრებთ მათ, თუ რაზეა საუბარი; მაგ. მზე არის „წითელი ბურთი“, დიდი არის „ოცისპილოსხელა“ და ა. შ. განსხვავებული და ახალია თქვენი ზღაპრების ენა. რას მეტყოდით ამაზე?

– მე ვცდილობ, რაც შეიძლება უბრალოდ დავწერო. უბრალო სიტყვებით წერა არის საინტერესო პროცესი და ყველაზე დიდი განცდა შემოქმედისთვის. კერძოდ, ჩვენ რუსთაველს აქამდე იმიტომ ვკითხულობთ და გვესმის მისი, რომ უბრალოა მისი ენა, და სწორედ აქედანაა გამოწვეული ჩვენი სიყვარული შოთას მიმართ. რა არის გაუგებარი ამ სიტყვებში: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი“? – არაფერი. მგონია, რომ ამის გაგრძელებას წარმოადგენს „ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი“... ეს ორი გენიოსი ერთნაირად აზროვნებდა. უბრალოდ, წერდნენ აკაკი, ილია, იაკობ გოგებაშვილი, მათ თავიანთი სათქმელი და გულისტკივილი გასაგებ ენაზე მიჰქონდათ მკითხველამდე.

– ზღაპრების წერისას რაიმე ახალ ენობრივ ფორმებს იგონებთ, რომ ისინი თქვენ მიერ დამკვიდრებულ, ე.წ. ოკაზიურ ფორმებად ჩაითვალოს?

– საგანგებოდ არ ვცდილობ ახალი ენობრივი ფორმების შექმნას; ხანდახან, სიუჟეტიდან გამომდინარე, ასეთი ფორმები ბუნებრივად ჩნდება. აი, მაგალითად, ერთ ზღაპარში, სადაც ყველა ჩიტი თეთრი იყო და ყველას ჰყავდა ასეთი ჩიტი, მოქალაქეები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „შენი ჩიტის ფრენამაო“, შემდგომ, როდესაც ჩიტები თეთრ ყვავილებად გადაიქცნენ, ერთმანეთს ასე ეტყოდნენ: „შენი ყვავილის ნათებამაო.“ ვფიქრობ, შეიძლება, ესენი მიმართვის ახალ ფორმებად ჩაითვალოს. ან კიდევ: მე მყავს პერსონაჟი „ყირამალა მოსიარულე კაცი“, რომელიც ყვავილებს ყნოსავს. წესიერი მოქალაქისგან შეწუხებულ ამ თავდაყირა მდგომ კაცს უნდოდა სევდით ამოეოხრა, მაგრამ ამოოხვრისას სუნთქვა გულიდან მაღლა ამოდის და ვინაიდან იგი თავდაყირა იდგა, მისი სუნთქვა მაღლა ვერ ამოვიდოდა, ამიტომ მე დავწერე: „მისი ოხვრა დაეფინა ყვავილებს.“ ამრიგად, ჩემს შემოქმედებაში ახალ ფორმებს აპირობებს სიუჟეტი, და არა ჩემი ნება.

– თქვენ დაწერეთ ლიტერატურული ზღაპრების კრებული სახელწოდებით „პატარა ქალაქის ზღაპრები“. ეს პატარა ქალაქი, რომელიც თქვენი შთაგონების წყაროდ იქცა, რეალურად არსებობს?

– ბავშვობაში ხშირად დავდიოდი ბათუმში. იმ დროს ბათუმში ჯერ კიდევ არცერთი ცათამბჯენი არ იდგა და მე ასეთი ბათუმი დამამახსოვრდა, ჩემთვის ის სულ ასეთი იქნება. 60-იან წლებში მე მოვხვდი უკრაინის ქალაქ ჩერნოვცში. იქ იყო ერთი პატარა ქუჩა, სადაც არც მანქანებს და არც ეტლებს არასოდეს გაუვლიათ. სწორედ ეს ორი ქალაქი მედგა თვალწინ „პატარა ქალაქის ზღაპრების“ წერისას. ერთადერთი, რაც ჩემი ზღაპრებისთვის თბილისიდან ავიღე, მისი ცირკია. თბილისის ცირკი სხვა ბევრი ცირკისგან იმით გამოირჩევა, რომ იგი გორაკზე დგას. ჩემი აზრით, ცირკი მაღლობზე უნდა იდგეს თავისი ჯადოსნური მნიშვნელობიდან გამომდინარე; იქ სასწაულები ხდება, და თუ გინდა, შენც მის ჯადოსნურ სამყაროში შესვლა და სასწაულების ნახვა, უნდა გაიღო შენი ძალები და ახვიდე მაღლა. ამიტომაც მე ჩემი ზღაპრების დამსურათებელთ ყოველთვის ამას ვთხოვდი, რომ ცირკი დაეხატათ გორაკის ჩვერზე.

– თქვენი ზღაპრები გამომდინარეობს ხალხური ზღაპრებიდან, თუ მათგან დამოუკიდებელი სრულიად ახალი ფენომენია?

– ვფიქრობ, არ გამომდინარეობს ხალხური ზღაპრებიდან. ჩემს შემოქმედებას, შეიძლება ითქვას, უფრო კრებსითი სახე აქვს, თუ ერთმანეთზე გადავამრავლებთ ასტრიდ ლინდგრენს, ჰანს კრისტიან ანდერსენს, ალან მილნის, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერს, ჟანი როდარის, თუმცა ეს მე განგებ არ მიქნია, შეიძლება, ახლა დგას ასეთი შედეგი. თავის დროზე ი. ვ. გოეთემ თქვა: „მე ვარ კოლექტიური არსება და ჩემში არის ყველა ის ავტორი, რომელიც კი მე წამიკითხავს“... ჩემი სამწერლო ენა ძალიან ბუნებრივია, არ არის ის ხელოვნური და ნაძალადევი, და სწორედ უბრალოებაში ჩაქსოვილი ეს ბუნებრიობა ასაზრდოებს ჩემს ზღაპრებს.

დასასრულის მაგიერ:

და, ეგებ, გ-ნი გურამ პეტრიაშვილის სიტყვებში გაცოცხლებული „პატარა ქალაქი“ სჯობდეს მსოფლიოში არსებულ სხვა ყველა ქალაქს?... ერთადერთ რამეზე მწყდება გული: ვერ ვნახე ვერც უცათამბჯენო ბათუმი და ვერც ჩერნოვცის უავტომობილო ზღაპრული ქუჩები...

ესაუბრებოდა
გაბრიელ თაგაური

◎ კალათბურთი

პირველი ვარჯიში

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას შეუდგა. პირველი სანაკრებო ფანჯრის ფარგლებში ჩვენი ეროვნული გუნდი 2 მატჩს გამართავს: ხვალ თბილისში შვეიცარიას უმასპინძლებს, ხოლო 23-ში ბელგრადში სერბეთს დაუპირისპირდება. ჩვენი ჯგუფის მეოთხე წევრია ფინეთი, რომელიც პირველ ფანჯარაში საქართველოს მსგავსად სერბეთს და შვეიცარიას შეხვდება.

ილიას ზუროსმა შეკრებაზე 16 კალათბურთელი გამოიძახა, ხოლო ნაკრების კიდევ 8 კანდიდატი სარეზერვო შემადგენლობაში შეიყვანა. პირველი ვარჯიში თბილისის სპორტის სასახლეში 16 თებერვალს ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა 14-მა კალათბურთელმა მიიღო. დუდა სანაძე და თად მაკფადენი თბილისში გვიან ღამით ჩამოვიდნენ და ნაკრებს 17 თებერვალს შეუერთდნენ.

პირველ ვარჯიშზე ილიას ზუროსის განკარგულებაში შემდეგი კალათბურთელები იყვნენ: გიორგი ცინცაძე, რატი ანდრონიკაშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი, საბა ლობჟანიძე, ირაკლი სულხანიშვილი, დავით კაკუშაძე, მიხეილ ბერიშვილი, გიორგი კორსანტია, ალექსანდრე ფევაძე, ბექა ბურჯანაძე, ილია ლონდარიძე, ბექა ბექაური, გიორგი შერმადინი და გიორგი ტურძილაძე.

ილიას ზუროსს ასისტენტობას უწევენ მილოშ გლიგორიევიჩი, მანუჩარ მარკოიშვილი და ანატოლი ბოისა. პირველი ვარჯიში მოთელვითი ხასიათის იყო და მწვრთნელთა შტაბს მოთამაშეები დიდად არ დაუტვირთავს. იყო ნაკლები ტაქტიკა და მეტი სროლა, ფარქვეშ შესვლები და პერიმეტრზე სწორ გადაადგილებაში ვარჯიში. ჯანმრთელობის მხრივ პრობლემა მხოლოდ გიორგი ცინცაძეს აქვს, რომელმაც სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა, თუმცა, ექიმები და მათთან ერთად მწვრთნელებიც იმედიანად არიან, რომ ნაკრების ძირითადი გამთამაშებელი მომავალი მატჩებისთვის მოასწრებს კონდიციების აღდგენას.

მომავალი ბრძოლები წარმოადგენს ევრობასკეტ 2021-სთვის შესარჩევ ეტაპს, რომლის განმავლობაშიც არაერთი ახალგაზრდა მოთამაშე ვეტერან კალათბურთელებთან ერთად დაიცავს ეროვნული ნაკრების ღირსებას და ქართველი გულშემატკივრის მხარდაჭერა, როგორც ყოველთვის, დიდი სტიმული იქნება მათი წარმატებისთვის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მძლეთამძლე

მისია შესრულებულია

ნიუ-მექსიკოს შტატში (ალბუკერკი), რიო რანჩოში, აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატის მორიგი ღონისძიება შედგა. გულშემატკივარი ამ დღეს განსაკუთრებით ელოდებოდა, რადგან ოქტაგონზე ქართველი მებრძოლი მერაბ დვალიშვილი გადიოდა.

UFC Fight Night 167 „სერა ლონგოს“ გუნდისთვის და პირადად მერაბისთვის ბრწყინვალედ წარიმართა. მან UFC-ის ეგიდით რიგით მეხუთე ბრძოლა ჩაატარა და ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა, ამჯერად ამერიკელ კეისი კენთან.

ორმაგად სასიხარულოა, რომ დვალიშვილმა ტოპ 15-ის მებრძოლი დაამარცხა, თანაც ისე დამაჯერებლად, რომ ბევრი, ალბათ, მერაბის ასეთ დომინაციას არც ელოდა.

მან საკმაოდ ძლიერ ამერიკელ მეტოქეს 12 გდება (takedown) შეუსრულა. როგორც აღმოჩნდა, ეს მის დივიზიონში (bantamweight) ახალი მიღწევაა. ქართველმა ათლეტმა კიდევ ერთი საინტერესო რეკორდი დაამყარა. დვალიშვილი ლეგენდარულ ჯორჯ სენ პიერს, დემეტრიუს ჯონსონსა და კოლბი კოვინგტონს შეუერთდა მინიმუმ ორ ბრძოლაში 10-ზე მეტი გდების განხორციელებისთვის.

კობა კობახიძე

◎ სასპორტო ცეკვები

ქართველმა მოზარდებმა ნეაპოლი მოხიბლეს

იტალიის ქალაქ ნეაპოლში სამეჯლისო სასპორტო ცეკვებში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის ორი წყვილი საქართველოდანაც იყო. შესანიშნავად იასპარეზეს ცეკვის აკადემია „თელას“ წარმომადგენლებმა — საბა აჩბამ და ანასტასია სამხარაძემ, ნიკოლოზ კობალაძემ და მარიამ სამხარაძემ. მათთვის ეს ტურნირი პირველი გამოწვევა იყო საერთაშორისო სარბიელზე.

— ამ შეჯიბრებისთვის ჩვენი გოგობიჭები მონდომებით ემზადებოდნენ და ყოველ დღე თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ, — ამბობს „თელას“ ქორეოგრაფი **ხვიჩა ალადაშვილი.** — მართალია, ისინი ჯერ კიდევ პატარები არიან, მაგრამ კარგად აქვთ გათავისებული, რომ მოცეკვავისთვის ყოველი წუთი ძვირფასია, რადგან, სანამ ისვენებ, სხვები ცდილობენ შენზე მეტი გააკეთონ და გაჯობონ. გვიხარია, რომ მოზარდთა გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია — იტალიაში ორივე წყვილი ქვეჯგუფებიდან ფინალში გავიდა. მათ საბოლოოდ ორი პირველი და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს...

საბა აჩბა და ანასტასია სამხარაძე 8-წლამდელთა ქვეჯგუფში მონაწილეობდნენ. ლათინურამერიკული ცეკვების პროგრამით მათ III ადგილი ერგოთ, ევროპულ ცეკვებში კი პირველობა არავის დაუთმეს.

10-წლამდელებში ნიკოლოზ კობალაძემ და მარიამ სამხარაძემ მოსინჯეს ძალები. ლათინურამერიკულ ცეკვებში ისინი VI ადგილით დაკმაყოფილდნენ, სამაგიეროდ, ევროპული ცეკვების პროგრამით დაიმსახურეს საუკეთესო შეფასება და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

— ასეთი დონის ტურნირზე მსგავსი შედეგი კარგა ხანია არ გვქონია, — გვითხრა საქართველოს სამეჯლისო სასპორტო ცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ გაჩეჩილაძემ,** რომელიც ნეაპოლში მსაჯად იყო მიწვეული და ჩვენს წყვილებს მისი თანადგომა არ მოჰკლებიათ. —ძალიან გაგვახარა ჩვენი დუეტების წარმატებამ. ეს შეჯიბრების მონაწილეებთან ერთად მათი ქორეოგრაფის — ხვიჩა ალადაშვილის დამსახურებაა, რომელიც სწორი მიმართულებით უკვალავს მოზარდებს გზას. ვფიქრობ, ეს გამარჯვება სტიმული იქნება ჩვენი ახალგაზრდებისთვის, რომ უკეთ იმეცადინონ და არ არის გამორიცხული, რომ წლების შემდეგ ქართველი მოცეკვავეები ოლიმპიურ სარბიელზეც ვიხილოთ.

ლექსო ცინცაძე



სურათებზე: (მარცხნიდან) საბა აჩბა და ანასტასია სამხარაძე; ნიკოლოზ კობალაძე და მარიამ სამხარაძე კვარცხლბეკზე.

◎ რჩეულნი

პირველად - ორნი

ბერლინში გამართულ ლაურეუსის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელსაც ასევე „სპორტულ ოსკარს“ უწოდებენ, ცნობილი გახდა წლის უძლიერეს მამაკაცთა ვინაობა.

ღონისძიების ისტორიაში პირველად, ეს პატივი ერთბაშად ორ ვარსკვლავს ხვდა წილად.

ბრიტანელმა ავტომრბოლელმა ლუის ჰემილტონმა და არგენტინელმა ფეხბურთელმა ლიონელ მესიმ ერთნაირი რაოდენობის ქულები დააგროვეს და პრესტიჟული ჯილდო ორივე მათგანს გადაეცა.

ამ ნომინაციაში ასევე წარდგენილნი იყვნენ კენიელი მორბენალი ელიუდ კიპჩოგე, ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი, ესპანელი მოტომრბოლელი მარკ მარკესი და ამერიკელი გოლფისტი თაიგერ ვუდსი.

ბეჟან დოლიძე

◎ ეძო

ვენგერი „სიტიზე“: „ვინც დააშავებს, უნდა დაისაჯოს“

ლონდონის „არსენალის“ ყოფილმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა „მანჩესტერ სიტის“ სასჯელის შესახებ კომენტარი გააკეთა. ფრანგმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ წესებს ყველა უნდა დაემორჩილოს და ვინც დააშავებს, საფასურიც უნდა გადაიხადოს.



„როდესაც „არსენალში“ ვიყავი, ბევრმა ფეხბურთელმა დაგვტოვა. წესები არსებობს და მას უნდა დავემორჩილოთ. ვერ ვიტყვი, სასჯელი მეტისმეტია თუ მოკრძალებული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვინც ეს გადაწყვიტა, არაფერი გამოუგონია. ვინც დააშავებს, უნდა დაისაჯოს.

შეცდომები დაშვებულია. ინგლისში, უპირველეს ყოვლისა, უფსკრული შეიქმნა ტელევიზიებიდან შესული თანხით, ადგილობრივი ლიგებისა და ევროტურნირებიდან. ამ უკანასკნელს მსოფლიოში მაყურებელი მხოლოდ დიდი კლუბებისთვის ჰყავს და ამან უზარმაზარი განსხვავება შექმნა“, — განაცხადა ვენგერმა.

გიორგი ზოთაძე

სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა დამასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

- ბორისა და ფხვნილოვანი კომპოზიციური მასალების ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
- ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
- მანგანუმშემცველი და სხვა მინერალური ნედლეულის გადამუშავების ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
- ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
- თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორიის უფროსი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
- ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიის უფროსი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

...

- მკვლევარი სპეციალისტი - 1 (არასრული 0,9) საშტატო ერთეული (ბორისა და ფხვნილოვანი კომპოზიციური მასალების ლაბორატორია);
- ტექნიკოსი - 1 საშტატო ერთეული (ბორისა და ფხვნილოვანი კომპოზიციური მასალების ლაბორატორია);
- მკვლევარი მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორია)
- მკვლევარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორია);
- უფროსი ინჟინერი - 1 საშტატო ერთეული (მანგანუმშემცველი და სხვა მინერალური ნედლეულის გადამუშავების ლაბორატორია);
- ტექნიკოსი - 1 საშტატო ერთეული (მანგანუმშემცველი და სხვა მინერალური ნედლეულის გადამუშავების ლაბორატორია);
- მკვლევარი მთავარი სპეციალისტი - 1 (არასრული 0,6) საშტატო ერთეული - ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორია);
- მკვლევარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული - (ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორია);
- მკვლევარი სპეციალისტი - 1 (არასრული 0,5) საშტატო ერთეული - (ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორია);
- ინჟინერი - 1 საშტატო ერთეული - (ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორია);
- ტექნიკოსი (I კატეგორია) - 1 საშტატო ერთეული (ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორია);
- უფროსი ინჟინერი - 1 საშტატო ერთეული - (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია);
- ტექნიკოსი - 1 საშტატო ერთეული -(თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია);
- მეცნიერ თანამშრომელი - 1 (არასრული 0,8) საშტატო ერთეული - (ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია);
- მკვლევარი სპეციალისტი - 1 (არასრული 0,6) საშტატო ერთეული - (ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია);
- მკვლევარი სპეციალისტი - 1 (არასრული 0,5) საშტატო ერთეული - (ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია);
- უფროსი ინჟინერი - 1 საშტატო ერთეული - (ბათუმის კოროზიული კვლევების პოლიგონი);
- სტრუქტურული ანალიზის ჯგუფის უფროსი -მკვლევარი მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული ;
- ლაბორანტი - 1 საშტატო ერთეული (სტრუქტურული ანალიზის ჯგუფი)
- ლაბორანტი - 1 საშტატო ერთეული (ანალიზური ქიმიის ჯგუფი);
- მათემატიკური მოდელირების ჯგუფის უფროსი - მკვლევარი მთავარი სპეციალისტი 1 საშტატო ერთეული;
- ელექტრონული მიკროსკოპიის ჯგუფის უფროსი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი 1 საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (ელექტრონული მიკროსკოპიის ჯგუფი);
- სამეცნიერო პროექტებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი-მკვლევარი მთავარი სპეციალისტი, 1 საშტატო ერთეული;

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (მხოლოდ სამეცნიერო თანამდებობისათვის);
6. სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (ლაბორატორიისა და ჯგუფის უფროსისთვის)

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. #10, ოთახი #315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2020 წლის 19 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

თბილისში პირველი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა იწყება

მულტიფუნქციური ცენტრისთვის **მშენებლობა ვარკეთილში სივრცე 15 000 კვმ ფართობს მოიცავს და პროექტის დასრულების შემდეგ 10 000-ზე მეტ ბენეფიციარს მოემსახურება.** მულტიფუნქციურ ცენტრში სხვადასხვა მულტიფუნქციური პროექტი იქნება განთავსებული:

- **სპორტული დარბაზი ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთისთვის;**
- **ტანვარჯიშის დარბაზი;**
- **სპორტული ორთაბრძოლების დარბაზი, სადაც განთავსდება ძიუდოს, ჭიდაობის, კარატეს სექციები, ასევე, მოეწყობა კრივის რინგი;**
- **ტრენაჟორების სივრცე ფიტნეს-დარბაზთან ერთად;**
- **ორი საცურაო აუზი;**
- **კაფე;**
- **სპორტული ინვენტარის მაღაზია;**
- **მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა;**
- **საკონფერენციო დარბაზი;**
- **სახელოვნებო სკოლა;**
- **ბოულინგი და სამაგიდო თამაშების სივრცე;**
- **მიწისქვეშა პარკინგის სივრცე.**

სპორტული კომპლექსების მშენებლობის პროგრამა მიზნად ისახავს სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართვას.

ობიექტის მშენებლობა 2021 წელს დასრულდება.

რეინჯერების დაზღვევას კავკასიის ბუნების ფონდი 40 000 ევროთი დააფინანსებს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების რეინჯერების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევას კავკასიის ბუნების ფონდი დააფინანსებს.

საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ ვალერიან მჭედლიძემ და კავკასიის ბუნების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯორჯ ჯიაკომინიმ მოაწერეს. ხელშეკრულების თანახმად, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომლებისა და რეინჯერების 2020 წლის დაზღვევას კავკასიის ბუნების ფონდი 40 000 ევროთი დააფინანსებს. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომლების მუშაობა მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული. რეინჯერები 24 საათის განმავლობაში იცავენ ბუნებრივ მემკვიდრეობას; ხშირად უწევთ ბრაკონიერებთან ბრძოლა. კავკასიის ბუნების ფონდი სააგენტოს დაზღვევის ხარჯების ნაწილს 2013 წლიდან ფარავს.

„ფრონტერას“ ნავთობბაზასთან კომპანიის ყოფილი თანამშრომლები გაიფიცნენ

დედოფლისწყაროში მდებარე ნავთობმომპოვებელი კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ნავთობბაზასთან კომპანიის ყოფილი თანამშრომლები გაიფიცნენ და ნავთობმზიდ სატვირთო მანქანებს შესვლის საშუალება არ მისცეს.

„ფრონტერას“ აქ არსებული ნავთობი, სავარაუდოდ, გაყიდული აქვს და ახლა იმ სხვა კომპანიას სურს, რომ წაიღოს. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ და კანონის ფარგლებში ვმოქმედებთ, ვიდრე ჩვენს კუთვნილ 11 თვის ხელფასს არ მოგვცემენ“, – აცხადებენ შეკრებილები. კომპანიის თანამშრომლები შექმნილ სიტუაციას კომპანიის დირექტორის ზაზა მამულაიშვილის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას უკავშირებენ და მის გათავისუფლებას ითხოვენ. ასევე, ხელისუფლებას, კერძოდ კი, ეკონომიკის სამინისტროს ქმედით დახმარებას და საკითხში დაუყოვნებლივ ჩართვას სთხოვენ.

განცხადება

საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ეროვნული ფედერაცია აცხადებს, რომ 2020 წლის 20 მარტს, 15 საათზე, ქ. ფოთში, მალთაყვის სპორტულ კომპლექსში იმართება ფედერაციის ყრილობა.

ფედერაციის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1. ფედერაციის პრეზიდენტის მოხსენება საქართველოში სპორტის ამ სახეობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. გამგეობის წევრების არჩევა.

3. გამგეობის წევრებიდან ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტისა და გენერალური მდივნის არჩევა.

„დაე, სტალინმა გაახაროს კორეელი ხალხი...“



ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა რესპუბლიკაში პირველმა გახსნა იოსებ სტალინის ძეგლი. კორეის ომის გმირების პარკი, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქში უდიდეს ტერიტორიას იკავებს და მოქალაქეების საყვარელ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს, ძეგლის სამონტაჟო ადგილად აირჩიეს.

საბჭოთა გამოჩენილი ლიდერისთვის 20-მეტრიანი ძეგლის მშენებლობა ორნახევარი თვე გაგრძელდა. მასალად ჩრდილოეთ კორეის სახალხო მოქანდაკემ ლი პაკ იუნმა აირჩია ოქრო (79%), სპილენძი (20%) და უჟანგავი ფოლადი (1%). საერთო წონა 230 ტონა იყო.

ძეგლის ძირში გამოჩნდა წარწერა მოოქროვილი ასოებით კორეულ, რუსულ და ქართულ ენაზე **„დიდ სტალინს — სოციალიზმის მამას, კორეელი ხალხის შესანიშნავ მეგობარს და მასწავლებელს“**.

ძეგლი ქალაქ ფხენიანის ყველა წერტილიდან გამოჩნდება და ღამე განათებული იქნება. ძეგლის ღამის განათების განსახორციელებლად, დედაქალაქის რამდენიმე რაიონი ელექტროენერგიას საღამოს საათებში გრაფიკით მიიღებს. ამის შესახებ ტერიტორიის მცხოვრებლებმა, უშუალოდ მიმართეს წერილით სახელმწიფოს მეთაურს კიმ ჩენ ინს.

მშენებლები, რომლებმაც არაკეთილსინდისიერად შეასრულეს სამუშაო, ჩრდილოეთ კორეის პარტიის ხელმძღვანელებმა მშრომელთა ბანაკებში გაგზავნეს დიდი სტალინის პიროვნებისადმი უპატივცემულობის გამო. ჩრდილოეთ კორეის პრესაში დივერსიული ქმედება უწოდეს მათ საქციელს, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია, რომ 14 თებერვალს გრანდიოზულად დასრულებულიყო სამუშაო.

„ჩემს ბაბუას სურდა კორეაში სტალინის ძეგლის აღმართვა. მე ვასრულებ მის და მთელი კორეელი ხალხის ნებას. ვნანობ და ბოდიშს ვიხდი, რომ ადრე ვერ შევძელი სტალინის ხსოვნისადმი პატივი მიმეგო, მაგრამ მიუხედავად გარემოებისა და კაპიტალისტების ეკონომიკური ზეწოლისა, ჩვენ დავალება მაინც შევასრულეთ. დაე, სტალინმა გაახაროს კორეელი ხალხი ისევე, როგორც ის ახარებდა საბჭოთა კავშირის ხალხს 30-იან და შემდეგ წლებში“. — თქვა კიმ ჩენ ინმა ძეგლის გახსნისას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ტრამპი ობამას შარლატანობაში ადანაშაულებს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ბარაკ ობამა მისი ადმინისტრაციის ეკონომიკური მიღწევების თავის თავზე მიწერაში დაადანაშაულა, მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-ს ახლა დასაქმების საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ისტორიაში.

„გაიგეთ ბოლო შარლატანობაზე? პრეზიდენტი ობამა ახლა ცდილობს, ეკონომიკური ბუმი მიიწეროს, რომელიც ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში ხდება. დიდი დეპრესიის შემდეგ მას ეკონომის ყველაზე სუსტი გამოცოცხლება ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის საპროცენტო განაკვეთი ნული იყო“, — დაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა twitter-ზე.

„მომიწია ჩვენი არმიის აღდგენა, რომელიც სრულად გამოფიტული იყო. ფედერალური სარეზერვო სისტემის საპროცენტო განაკვეთი გაზრდილია, გადასახადები და რეგულაციები შემცირებულია. დემოკრატებს 2016 წელს რომ მოეგოთ, აშშ-ს ახლა დიდი ეკონომიკური და სამხედრო პრობლემები ექნებოდა. საუკეთესო კიდევ წინ არის. შევინარჩუნოთ დიადი ამერიკა“, — აღნიშნა ტრამპმა.

„ამაზონელები“ გლობალურ დათბობას ებრძვიან

კომპანია Amazon-ის მფლობელი ჯეფ ბეზოსი გლობალურ დათბობასთან საბრძოლველად სპეციალურ ფონდს ქმნის.

ფონდს ბეზოსი 10 მილიარდი დოლარით დააფინანსებს. სოლიდური თანხით მეცნიერები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ეკოაქტივისტები დაფინანსდებიან, რომლებიც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ იბრძვიან. ჯეფ ბეზოსი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანია. დღეისათვის ბიზნესმენის ქონება 130 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

ნიკ მეისონის სახლი ხულიგნების სამიზნე გახდა

ბრიტანული როკ-ჯგუფის Pink Floyd-ის 76 წლის ვარსკვლავი ნიკ მეისონი ლონდონში საკუთარ სახლს აქირავებს. უძრავი ქონების სააგენტო Sonder-ი მომხმარებელს სახლში ხმაურიანი საღამოების გამართვას სთავაზობს. ნიკ მეისონის სახლი ხულიგნების სამიზნე გახდა, რის გამოც ცნობილ როკ-ვარსკვლავს მეზობლები უჩივიან. გიფორდ-სტრიტზე მდებარე სახლში მუსიკოსი ადრე ინსტრუმენტებს ინახავდა, შემდეგ კი მოტოციკლების კოლექციას.

ადგილობრივი მცხოვრებლების ინფორმაციით, მათ წყნარ ქუჩაზე მუსიკოსის დისონანსი შემოაქვს. ის სახლს 2018 წლიდან აქირავებს. მოსახლეობის ცნობით, მუსიკოსის სახლში ერთდროულად 60 ადამიანი შეიკრიბა და ხმაურიანი საღამო გამართა. მოსახლეობა აცხადებს, რომ მათი უბანი ხულიგნების სამიზნედ და ყაჩაღების სამოთხედ იქცა. გამოწვეული ხმაურის გარდა ცოტა ხნის წინ ნიკ მეისონის სახლში ერთ-ერთ საღამოზე კაცი დაჭრეს.

მთავარი ექიმი კორონავირუსს ემსხვერპლა

ჩინეთის ქალაქ უხანში, „უჩანის“ საავადმყოფოს მთავარი ექიმი კორონავირუსის გამო გარდაიცვალა. ლიუ ჩჟიმინი სამედიცინო დაწესებულების პირველი ხელმძღვანელია, რომელიც კორონავირუსის გამო გარდაიცვალა.

ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ ჯერ სოციალურ ქსელში გაჩნდა. თუმცა, შემდეგ შესაბამისი პოსტი წაშალეს. სამშაბათ დილას კი ჟურნალისტები მის მეუღლეს დაუკავშირდნენ, რომელმაც განაცხადა, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალია, თუმცა ადგილობრივი დროით 10:30 საათზე ის გარდაიცვალა. ბოლო მონაცემებით, ჩინეთში კორონავირუსით დაღუპულთა რიცხვი 1868-მდე გაიზარდა.

ფინეთში რუსი ბიზნესმენის ქონება დააყადაღეს

ფინეთში კომპანია Airiston Helmi-ს მფლობელის პაველ მალნიკოვის ქონება დააყადაღეს, რომელიც 2.5 მილიონ ევროდ არის შეფასებული. რუს ბიზნესმენს ოფიციალურად ეკონომიკური სახის დანაშაულში, საგადასახადო თაღლითობასა და ფულის გათეთრებაში ადანაშაულებენ, თუმცა როგორც ადგილობრივი მედია ვარაუდობს, რეალური მიზეზი სხვაა. კერძოდ, მალნიკოვის მფლობელობაში მყოფი ობიექტები რუსეთს შესაძლოა ფინეთში სამხედრო ინტერვენციისთვის გამოეყენებინა. 2018 წელს Airiston Helmi-ს კუთვნილ ობიექტებზე პოლიციამ მასშტაბური სპეცოპერაცია ჩაატარა, რომელშიც 400-მდე სამართალდამცველი მონაწილეობდა.



ქალაქ ტურკუსთან მდებარე საკილუტოს კუნძულზე პოლიციამ დიდი რაოდენობით სათვალთვალო მოწყობილობები, ვეტმფრენების დასაფრენი მოედანი, ნავმისადგომები და დიდი რაოდენობით თანხა იპოვა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8678; ევრო - 3.1104;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7362;
100 რუბლი - 4.5283; თურქული ლირა - 0.4745;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6912;
1000 სომხური დრამი - 5.9839.

ამინდი 19 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-5,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	-1,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge